

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი

სოფიკო კვარაცხელია

თანკბილვის ანომალიების და პაროდონტის დაავადებების გავრცელება
და მათ შორის კორელაცია სამეგრელოს რეგიონში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თეიმურაზ ჯორბენაძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მამუკა გოგიბერიძე

მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2022

აბსტრაქტი

ადამიანის ზოგადი ჯანმრთელობა იწყება ჯანმრთელი პირის ღრუდან. თანკბილვის ანომალიების საერთო გავრცელება მსოფლიოს მასშტაბით 20,9%-ია და რიგით მესამე ადგილზეა პირის ღრუს გავრცელებულ დაავადებებს შორის, კბილთა კარიესის და პაროდონტის დაავადებების შემდეგ.

მსოფლიოს მოსახლეობის 50-90% დაავადებულია პაროდონტის დაავადებით და უკავია რიგით მეექვსე ადგილი მსოფლიოში გავრცელებულ დაავადებებს შორის.

რიგ შემთხვევებში თანკბილვის ანომალიები და პაროდონტის დაავადებები კომპლექსურად მიმდინარე დაავადებებია და ხშირ შემთხვევაში რთულია პირველადი გამომწვევის დადგენა, რადგან თანკბილვის ანომალია შეიძლება მიზეზი იყოს პაროდონტის დაავადებების ან პირიქით.

თანკბილვის ანომალიები არ განიხილება როგორც სიცოცხლისთვის საშიში დაავადება, მაგრამ სხვადასხვა ხარისხით გავლენას ახდენს ინდივიდზე და ზოგადად საზოგადოებაზე, მათი ცხოვრების ხარისხზე. ღიმილი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის სახის მიმზიდველობაში და ამარტივებს კომუნიკაციას საზოგადოებასთან.

აღნიშნული კვლევისთვის შერჩეულ იქნა 2487 პაციენტი - 1413 (56,8%) ქალი და 1074 (43,2%) კაცი, 15 წლის ზევით ყველა ასაკობრივი ჯგუფიდან ახალგაზრდების სიჭარბით, რომლებსაც ჩაუტარდათ კლინიკური კვლევა, შეუფასდათ თანკბილვის ტიპი და პაროდონტის სტატუსი.

გამოსაკვლევნი პოპულაცია დაიყო 5 ასაკობრივ ჯგუფად, ახალგაზრდებში თანკბილვის ანომალიების და პაროდონტიტის გავრცელების მეტი სიზუსტისთვის: 15-24, 25-34, 35-44, 45-64, 65 წლის და უფროსი.

პროცესის მიმდინარეობის პარალელურად 2487 პაციენტიდან გამოიყო 59 პაციენტი მორფოლოგიური კვლევის მიზნით, რომლებსაც აღენიშნებოდათ დარღვეული თანკბილვა, პაროდონტიტის IV სტადია, პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენა, მრავლობითი ედენტულიზმი, კბილების მორყევის III-IV ხარისხი, სისხლდენა და პათოლოგიური ჯიბე სიღრმით 5 მმ და მეტი.

კვლევის შედეგად მიღებული შედეგების მიხედვით გამოკვლეულ პოპულაციაში თანკბილვის ანომალიები და პაროდონტის დაავადებები თითქმის თანაბარი სიხშირით და საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული.

გამოკვლეული პოპულაციის 58%-ს აღენიშნებოდა თანკბილვის ცალკეული სახის ანომალია და 42%-ს თანკბილვის I კლასი. ყველაზე ხშირი გავრცელებით ხასიათდებოდა თანკბილვის II კლასი, მაგრამ სხვა კვლევებთან შედარებით გამოვლინდა თანკბილვის III კლასის ანომალიის მაღალი სიხშირე.

50,3% აღენიშნებოდა ჯანმრთელი პაროდონტი, 10,5% გინგივიტის და 39,2% პაროდონტიტი. პაროდონტის დაავადებები თითქმის თანაბარი სიხშირით იყო გავრცელებული ორივე სქესის წარმომადგენელში, ასაკის მატებასთან ერთად გაიზარდა პაროდონტიტის და შემცირდა გინგივიტის გავრცელება.

კვლევის შედეგებით თანკბილვის ანომალიებს და პაროდონტის დაავადებებს შორის კორელაცია არ გამოვლინდა, რადგან პაროდონტის დაავადებები თითქმის თანაბარი სიხშირით იყო გავრცელებული თანკბილვის ანომალიების ან ნეიტრალური თანკბილვის მქონე პაციენტებში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არ აღინიშნა თანკბილვის ცალკეული სახის ანომალიებს და პაროდონტის დაავადებებს შორის ხშირი თანხვედრა.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ პაციენტების უმეტესობას აღენიშნებოდა პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენა. გამოკვლეული პაციენტების 77,3% იშვიათად მიმართავდა სტომატოლოგს პირის ღრუს სანაციის მიზნით, 16,7% წელიწადში ერთხელ და 6% რეგულარულად. დეტალური გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილი ქონდა კბილების წმენდის უგულვებელყოფას სახლის პირობებშიც კი.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით პაროდონტიტის IV სტადიის დროს აღინიშნებოდა შემდეგი სახის მორფოლოგიური ცვლილებები: ლეიკოციტურ-ლიმფოპისტიოციტურუჯრედული ინფილტრაცია, მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმის ჰიპერპლაზია, ფიბრობლასტების პროლიფერაცია, შემაერთებელი ქსოვილის გამრავლება, ეპითელიუმის მსუბუქი და ზომიერი დისპლაზია, შეშუპება, სისხლძარღვების სკლეროზი ენდოთელიოციტების პროლიფერაციით,

მიკროაბსცესების ჩამოყალიბება და ნეკროზი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე პაროდონტიტის IV სტადიისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახის მორფოლოგიური ცვლილებები და შორსწასულ შემთხვევაში შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ნეკროზის კერები.

პაროდონტიტის IV სტადიის მორფოლოგიურ გამოვლინებას წარმოადგენს ჩირქოვან-დესტრუქციული ანთება და შემთხვევათა ერთმესამედში ადგილი აქვს ეპითელიუმის მსუბუქ და ზომიერ დისპლაზიას, რაც წარმოადგენს ფაკულტატურ კიბოსწინარე მდგომარეობას.

ზემოთ აღნიშნული ფაქტები მეტად მნიშვნელოვანია ონკოლოგიური თვალსაზრისით და აუცილებლად გასათვალისწინებელია მკურნალობის მეთოდის შერჩევისას.

Abstract

Human's general health begins with the healthy oral cavity. The common prevalence of dento-facial anomalies is 20,9% and is third priority among oral diseases preceding by tooth decay and periodontal diseases.

Periodontal diseases affect 50-90% of the population around the globe and is the sixth most prevalent disease globally.

In some cases, dento-facial anomalies and periodontal diseases are complex and in most cases it's difficult to establish primary cause, as malocclusion can be the reason for periodontal diseases and vice versa.

Although not life threatening, dento-facial anomalies have various effects on each individual and society and on the quality of life. Smile has foremost role in humans' lives considering facial attractiveness and makes the communication easier.

The research included 2487 people, 1413 (56, 8 %) women and 1074 (43, 2%) men, with the redundant number of youths above 15 years. The clinical research, the assessment of the oral cavity and periodontal status have been carried out.

The studied population was divided into five age groups: 15-24, 25-34, 35-44, 45-64, 65 years old and elders to show the precise prevalence amongst the youths.

Alongside to this process, from 2487 patients of studied people 59 were selected for further morphological researches, those who had poor occlusion, fourth stage of periodontitis, unsatisfactory oral hygiene, edentulous, grade III-IV tooth mobility, bleeding and periodontal pocket of 5 mm and more.

The results of the conducted research show that malocclusion anomalies and periodontal diseases are almost equally typical among the studied patients and are quite prevalent.

58 % of studied patients had any of the anomalies of malocclusion and 42 % had neutral malocclusion. The most prevalent dental anomaly was class II anomaly. Compared to other studies, the population included in this particular study, was differed by the high prevalence of class III anomaly.

The results of the research show that 50,3 % (1263) of studied patients experienced healthy periodontium, 39,2% had periodontitis and 10,5% gingivitis. Periodontal diseases are equally prevalent among both females and males. The number of

periodontitis increases alongside the aging process and the number of gingivitis decreases.

The analyses of the results showed that there is no possible correlation between some kind of dentofacial anomalies and periodontal diseases, as the prevalence of periodontal diseases in patients with the dento-facial anomalies or orthognathic occlusion is almost equal. It is also worth mentioning that there are not frequent cases of any of the kind of dento-facial anomalies alongside with periodontal diseases.

Almost half of the studied population experienced some of the types of dento-facial anomalies. In one-fifth of the patients it was unable to determine the types of occlusions and the rest of the patients had neutral occlusion.

According to the analysis of the research results, stage IV periodontitis is accompanied by the following morphological changes: lymphohistiocytic infiltrating leukocyte, flat multilayered epithelial hyperplasia, endothelial cell proliferation, cell fusion, mild and moderate epithelial dysplasia, swelling, sclerosis of the blood vessels with endothelial cell proliferation, formation of a micro abscess and necrosis.

As a result of above-mentioned facts, stage IV periodontitis is characterized with various morphological changes and necrosis might occur in case it is severe.

One of the morphological manifestations of stage IV periodontitis is purulent destructive inflammation and one-third of the cases is accompanied by mild and moderate epithelial dysplasia that represents a facultative precancerous condition.

Above-mentioned facts are crucial in terms of oncological alertness and should be taken into consideration whilst choosing the treatment method.

სარჩევი

აბსტრაქტი	1
აბსტრაქტი	4
სარჩევი	6
დიაგრამების ჩამონათვალი	8
ცხრილების ჩამონათვალი	8
ილუსტრაციების ჩამონათვალი	10
აბრევიატურების ჩამონათვალი	11
შესავალი	12
კვლევითი თემის აქტუალობა	12
კვლევის მიზანი და ამოცანები	14
კვლევის სიახლე	15
ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება	16
თავი I. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	17
1.1. თანკბილვის ანომალიები და დეფორმაციები	17
1.2. თანკბილვის ანომალიების ეტიოლოგია	18
1.3. თანკბილვის ანომალიების დიაგნოსტიკა	20
1.4. ორთოდონტიული მკურნალობის მნიშვნელობა თანკბილვის ანომალიების დროს	21
1.5. თანკბილვის ანომალიების გავრცელება	22
1.6. თანკბილვის ანომალიების მკურნალობა	24
1.7. გართულებები ორთოდონტიული მკურნალობის დროს	25
1.8. პაროდონტის დაავადებები: გინგივიტი და პაროდონტიტი	26
1.9. პაროდონტიტის გამომწვევი ეტიოლოგიური ფაქტორები	27
1.10. თანკბილვის კლინიკური სურათი პაროდონტიტის დროს	32
1.11. კავშირი პაროდონტიტსა და ზოგად-სომატურ დაავადებებს შორის	34
1.12. პაროდონტის დაავადებების გავრცელება	38
1.13. პაროდონტის დაავადებების მკურნალობა	40
1.14. ორთოდონტიული მკურნალობის ჩვენება პაროდონტიტის დროს	40
1.15. პაროდონტის დაავადებების განვითარების პრევენცია	44

თავი II. კვლევის მასალა და მეთოდები	46
2.1. ჩატარებული კვლევის ზოგადი მიმოხილვა	46
2.2. ჩატარებული კვლევის სტატისტიკური ნაწილი	46
2.3. ჩატარებული კვლევის მორფოლოგიური ნაწილი	48
თავი III . კვლევის ეთიკის საკითხები	49
თავი IV . კვლევის შედეგები და მათი ანალიზი	50
4.1. თანკბილვის ანომალიების გავრცელება.....	50
4.2. გინგივიტის და პაროდონტიტის გავრცელება	51
4.3. კორელაცია თანკბილვის ანომალიების და პაროდონტის დაავადებებს შორის....	55
4.4. პათოლოგიური ჯიბის სიღრმე და კბილთა მორყევის ხარისხი.....	59
4.5. ედენტულიზმის გავრცელება და გენეტიკური წინასწარგანწყობა	62
4.6 თამბაქოს მოხმარება, როგორც ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი პაროდონტის დაავადებების დროს.....	64
4.7. ურთიერთკავშირი ზოგად-სომატურ დაავადებებსა და პაროდონტიტს შორის...	68
4.8. პაციენტების მიმართვიანობის სიხშირე სტომატოლოგთან პირის ღრუს სანაცის მიზნით	70
4.9.მორფოლოგიური ცვლილებები პაროდონტ. ქსოვილში პაროდონტიტის დროს..	71
თავი V. დასკვნები	75
თავი VI. რეკომენდაციები	79
თავი VII. გამოყენებული ლიტერატურა - ბიბლიოგრაფია	81
თავი VIII. გამოქვეყნებული ნაშრომების სია	105
თავი IX. დანართები	106

დიაგრამების ჩამონათვალი:

დიაგრამა 1. თანკბილვის ანომალიების პროცენტული განაწილება, გვ.51

დიაგრამა 2. პაროდონტიტის და გინგივიტის გავრცელება სქესის მიხედვით, გვ.53

დიაგრამა 3. გამოკვლეულ პოპულაციაში პაროდონტის სტატუსის შეფასება ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, გვ.53

დიაგრამა 4. თანკბილვის ანომალიის მქონე პაციენტების განაწილება ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებად პაროდონტის სტატუსის მიხედვით, გვ.55

დიაგრამა 5. კორელაცია პაროდონტის სტატუსსა და თანკბილვის ანომალიებს შორის, გვ.57

დიაგრამა 6. პათოლოგიური ჯიბეების სიღრმის განაწილება ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებად, გვ.59

დიაგრამა 7. კბილების მორყევის ხარისხის შეფასება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, გვ.61

დიაგრამა 8. ნაწილობრივი და სრული ედენტულიზმის სიხშირე, გვ.63

დიაგრამა 9. თამბაქოს მოხმარება ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი პაროდონტის დაავადებების დროს, გვ.64

დიაგრამა 10. ურთიერთკავშირი პაროდონტის სტატუსსა და თამბაქოს მოხმარებას შორის, გვ.66

დიაგრამა 11. ურთიერთკავშირი პაროდონტის სტატუსსა და თამბაქოს მოხმარებას შორის, გვ.67

დიაგრამა 12. ზოგად-სომატური დაავადებების სიხშირე, გვ.68

დიაგრამა 13. პაროდონტის და ზოგად-სომატურ დაავადებებს შორის ურთიერთკავშირის შეფასება, გვ.69

დიაგრამა 14. პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობის შეფასება, გვ.70

დიაგრამა 15. პაციენტების სტომატოლოგთან მიმართვიანობის სიხშირის შეფასება, გვ.70

ცხრილების ჩამონათვალი:

ცხრილი 1. თანკბილვის ანომალიების გავრცელება, გვ.50

ცხრილი 2. პაროდონტიტის და გინგივიტის გავრცელება, გვ.51

- ცხრილი 3. გამოკვლევულ პოპულაციაში პაროდონტის სტატუსის შეფასება სქესის მიხედვით, გვ.52
- ცხრილი 4-5. გამოკვლევულ პოპულაციაში პაროდონტის ცალკეული სტატუსის მქონე პაციენტების განაწილება სქესის მიხედვით (პროცენტი), გვ.52
- ცხრილი 6. გამოკვლევულ პოპულაციაში პაროდონტის სხვადასხვა სტატუსის მქონე პაციენტების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, გვ.54
- ცხრილი 7-8. გამოკვლევულ პოპულაციაში პაროდონტის სხვადასხვა სტატუსის მქონე პაციენტების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი), გვ.54
- ცხრილი 9. თანკბილვის ანომალიის მქონე პაციენტების განაწილება ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებად პაროდონტის სტატუსის მიხედვით, გვ.55
- ცხრილი 10-11. თანკბილვის ანომალიის მქონე პაციენტების განაწილება ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებად პაროდონტის სტატუსის მიხედვით (პროცენტი), გვ.56
- ცხრილი 12-13. თანკბილვის ცალკეული სახის ანომალიის მქონე პაციენტების განაწილება პაროდონტის სხვადასხვა სტატუსის მიხედვით (პროცენტი), გვ.57-58
- ცხრილი 14-15. თანკბილვის ცალკეული სახის ანომალიის მქონე პაციენტების განაწილება პაროდონტის სხვადასხვა სტატუსის მიხედვით (პროცენტი), გვ.58-59
- ცხრილი 16. პათოლოგიური ჯიბეების სიღრმის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, გვ.60
- ცხრილი 17-18. პათოლოგიური ჯიბეების სიღრმის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი), გვ.60
- ცხრილი 19. კბილების მორყევის ხარისხის განაწილება ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, გვ.61
- ცხრილი 20-21. კბილების მორყევის ხარისხის განაწილება ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი), გვ.62
- ცხრილი 22. ნაწილობრივი და სრული ედენტულიზმის სიხშირე, გვ.63
- ცხრილი 23. ურთიერთკავშირი პაროდონტის დაავადებებსა და გენეტიკურ წინასწარგანწყობას შორის, გვ.63
- ცხრილი 24. ურთიერთკავშირი პაროდონტის დაავადებებსა და გენეტიკურ წინასწარგანწყობას შორის (პროცენტი), გვ.64
- ცხრილი 25. თამბაქოს მოხმარება, როგორც ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი პაროდონტის

დაავადებების დროს, გვ.65

ცხრილი 26-27. თამბაქოს მოხმარება, როგორც ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი პაროდონტის დაავადებების დროს (პროცენტი), გვ.65

ცხრილი 28. ურთიერთკავშირი პაროდონტის სტატუსსა და თამბაქოს მოხმარებას შორის, გვ.66

ცხრილი 29. ურთიერთკავშირი პაროდონტის სტატუსსა და თამბაქოს მოხმარებას შორის (პროცენტი), გვ.66

ცხრილი 30-33. პაროდონტის სტატუსსა და თამბაქოს გამოყენებას შორის ურთიერთკავშირის შეფასება (პროცენტი), გვ.67-68

ცხრილი 34. ზოგად - სომატური დაავადებების გავრცელება, გვ.69

ცხრილი 35. პაროდონტის და ზოგად-სომატურ დაავადებებს შორის ურთიერთკავშირის შეფასება, გვ.69

ცხრილი 36. პაციენტების სტომატოლოგთან მიმართვიანობის სიხშირის შეფასება, გვ.71

ცხრილი 37. მორფოლოგიურ კვლევაში ჩართული პაციენტები, გვ.71

ცხრილი 38. მსუბუქი და ზომიერი დისპლაზიის გადანაწილება სქესის მიხედვით, გვ.72

ილუსტრაციების ჩამონათვალი:

სურათი 1-2: ლეიკოციტურ-ლიმფოჰისტოციტურუჯრედული ინფილტრაცია, გვ. 72

სურათი 3: მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმის ჰიპერპლაზიის უბანი, გვ.72

სურათი 4: ნეკროზის კერები, გვ. 72

სურათი 5-6-7: შემაერთებული ქსოვილის გამრავლების კერა, გვ. 73

სურათი 8: სისხლძარღვების სკლეროზი ენდოთელიოციტების პროლიფერაციით, გვ. 74

სურათი 9-10: ეპითელიუმის მსუბუქი დისპლაზიას უბანი, გვ. 74

სურათი 11-12: ეპითელიუმის ზომიერი დისპლაზიას უბანი, გვ.74

აბრევიატურების ჩამონათვალი:

- I კლასი - ნეიტრალური თანკბილვა
- II კლასი - დისტალური თანკბილვა
- III კლასი - მედიალური თანკბილვა
- IOTN - ორთოდონტიული მკურნალობის საჭიროების შეფასების ინდექსი
- WHO - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
- DHC - სტომატოლოგიური ჯანმრთელობის კომპონენტი
- pH - ნერწყვის მჟავიანობის მაჩვენებელი
- PTM - კბილების პათოლოგიური მიგრაცია
- CVD - გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები
- PI - პაროდონტალური ინდექსი
- GI - ღრძილის ინდექსი
- BOP - სისხლდენის ინდექსი
- PPD - პათოლოგიური ჯიბის სიღრმე
- CAL - კლინიკური მიმაგრების დონე
- PD - პაროდონტული ჯიბის სიღრმე
- RBH - ალვეოლური ძვლის სიმაღლე
- PI - აპკის დონე

შესავალი

კვლევითი თემის აქტუალობა

ლიმილი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი სავიზიტო ბარათი, ადამიანებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახის მიმზიდველობაში და ამარტივებს კომუნიკაციას საზოგადოებასთან.

პირის ღრუს გავრცელებულ დაავადებებს შორის მაღალი პრევალენტობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს თანკბილვის ანომალიები. თანკბილვის ანომალიების საერთო გავრცელება მსოფლიოს მასშტაბით 20,9%-ია. დღესდღეობით შეიძლება ითქვას, რომ რიგით მესამე პრიორიტეტია პირის ღრუს მოვლის საქმეში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოს მოსახლეობის 50-90% დაავადებულია პაროდონტის დაავადებით. აქედან 20-50% მოდის პაროდონტიტზე და უკავია რიგით მეექვსე ადგილი მსოფლიოში გავრცელებულ დაავადებებს შორის.

რიგ შემთხვევებში თანკბილვის ანომალიები და პაროდონტის დაავადებები კომპლექსური მიმდინარეობით ხასიათდება და ხშირ შემთხვევაში რთულია პირველადი გამომწვევის დადგენა, რადგან თანკბილვის ანომალია შეიძლება მიზეზი იყოს პაროდონტის დაავადებების ან პირიქით.

თანკბილვის ანომალიების და პაროდონტის დაავადებების წარმატებული მკურნალობისთვის და მიღებული შედეგის შემდგომი სტაბილიზაციისთვის აუცილებელია დაავადებების დროული დიაგნოსტიკა და კომპლექსური მკურნალობა მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი შედეგის მისაღებად.

თანკბილვის ანომალიები არ იწვევს სიცოცხლისთვის შეუთავსებელ ცვლილებებს ადამიანის ორგანიზმში, მაგრამ სხვადასხვა ხარისხით გავლენას ახდენს ინდივიდზე, ზემოქმედებს ადამიანების ესთეტიურ გარეგნობაზე, არღვევს სახის ჰაბიტუსს, ასევე იწვევს ანატომიურ ცვლილებებს პირის ღრუში, რაც საბოლოო ჯამში მოქმედებს ადამიანებზე, ინდივიდის ფსიქოსოციალურ კეთილდღეობაზე, საზოგადოებაზე და მათი ცხოვრების ხარისხზე.

თანკბილვის ანომალიები განიხილება როგორც მრავალფაქტორიანი პრობლემა, რომელსაც არ აქვს კონკრეტული მიზეზი. შესაძლებელია გამოწვეული იყოს

სხვადასხვა ეტიოლოგიური ფაქტორებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანკბილვის ანომალიები ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია ადრეული ორთოდონტიული კონსულტაციების უგულვებელყოფით. მშობლები უმეტეს სიტუაციაში ვერ ამჩნევენ ბავშვებში ესთეტიკის დარღვევას და ასიმეტრიას, მაგრამ შემჩნევის შემთხვევაშიც კი ხშირად ელოდებიან ზრდასრულ ასაკს მკურნალობის დასაწყებად.

აღნიშნულ რეგიონში სტომატოლოგთან პაციენტების ვიზიტი იშვიათად ატარებს გეგმიურ ხასიათს, ძირითადად გამოწვეულია ტკივილის კუპირების მიზნით.

გამოკვლეული პოპულაციის უმეტესობას აღნიშნებოდა პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენა, რაც უკავშირდება პაციენტების მიერ კბილების წმენდის უგულვებელყოფას სახლის პირობებში, იშვიათ ვიზიტს სტომატოლოგთან პირის ღრუს სანაციის მიზნით. აღნიშნული ფაქტი შეიძლება დასახელდეს პირის ღრუს დაავადებების გამომწვევ ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტიოლოგიურ ფაქტორად.

ზემოთ აღნიშნული ფაქტები შესაძლებელია გამოწვეული იყოს დაბალი სოციალურ-ეკონომიური სტატუსით, დაბალი სამედიცინო განათლებით, შეზღუდული სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობით და ა.შ.

თანკბილვის ანომალიების და პაროდონტის დაავადებების პრევენცია და დროული მკურნალობა შეამცირებს ზოგად-სომატურ დაავადებათა გავრცელების რიცხვს, რაც შესაბამისად გავლენას მოახდენს მკურნალობის რესურსზე და ხარჯებზე.

ბავშვთა ასაკში თანკბილვის ანომალიების შეფასება ხელს შეუწყობს დაავადებების დროულ დიაგნოსტიკას, ადრეულ პროფილაქტიკას და შესაბამისად უზრუნველყოფს თანკბილვის პათოლოგიების ჩამოყალიბების პრევენციას.

აღნიშნული დაავადებების მაღალი გავრცელება და მათი უგულვებელყოფა შეუქმნის მრავალ სამედიცინო, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას მოსახლეობას აღნიშნულ რეგიონში. სწორედ ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ექიმი-სტომატოლოგების და ჯანდაცვის ორგანოების ურთიერთთანამშრომლობა, შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, რაც უზრუნველყოფს

პაციენტების ცნობიერების გაზრდას პირის ღრუს მოვლის მნიშვნელობასთან დაკავშირებით და მათი ჯანმრთელობის დონის ამაღლებას.

ჯანმრთელი პირის ღრუს მართვა იწყება ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე პედიატრის აქტიური ჩართულობით. პირველადი ორთოდონტიული კონსულტაცია ჩვეულებრივ რეკომენდებულია 7 წლის ასაკიდან. თუმცა, ამ ასაკამდე მნიშვნელოვანია პრეორთოდონტიული კონსულტაცია, რადგან დისმორფული ცვლილებები, რომლებიც იწვევენ თანკბილვის ანომალიებს, ვლინდება გაცილებით ადრე.

სამედიცინო და სოციალური თვალსაზრისით სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება სამკურნალო ღონისძიებებთან შედარებით.

სამეგრელოს რეგიონის ქალაქ სენაკში დღემდე არ ჩატარებულა მსგავსი ტიპის კვლევა, არ შეფასებულა სტომატოლოგიური სტატუსი, არ შესწავლილა აღნიშნული დაავადებების გავრცელება, არ განსაზღვრულა შესაძლო რისკ-ფაქტორები, რაც განაპირობებს კვლევის აქტუალურობას.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სამეგრელოს რეგიონის ქალაქ სენაკის მოსახლეობის სტომატოლოგიური სტატუსის შეფასება, რომლის მოსახლეობა 2014 წლის მონაცემებით შეადგენდა 21596 მოსახლეს. აღნიშნულ პოპულაციაში შეფასდა თანკბილვის ტიპი, პაროდონტის სტატუსი და პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობა.

საკვლევი არეალის შერჩევა მოხდა მიზანმიმართულად, რადგან კვლევების უმეტესობა ტარდება დედაქალაქში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეგიონებში, დედაქალაქთან შედარებით, ნაკლებად არის განვითარებული სტომატოლოგიის სფერო, რაც შეიძლება აიხსნას დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით, დაბალი სამედიცინო განათლებით, სტომატოლოგიური მომსახურების შეზღუდული ხელმისაწვდომობით, პირის ღრუს მოვლისადმი უარყოფითი განწყობით და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს თანკბილვის ანომალიების და პაროდონტის დაავადებების მაღალი პრევალენტობა ახალგაზრდებში.

აღნიშნული კვლევის ჩასატარებლად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- ❖ თანკბილვის ანომალიების და პაროდონტის დაავადებების სიხშირის შეფასება ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში
- ❖ თანკბილვის ანომალიებს და პაროდონტის დაავადებებს შორის კორელაციის გამოვლენა
- ❖ თანკბილვის ცალკეული სახის ანომალიას და პაროდონტის დაავადებებს შორის ხშირი თანხვედრა
- ❖ პაროდონტიტის თანმხლები მორფოლოგიური ცვლილებები პაროდონტში
- ❖ პაროდონტის დაავადებების გადანაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით
- ❖ ედენტულიზმის და პირის ღრუს ჰიგიენური ხარისხის შეფასება
- ❖ პაროდონტის დაავადებების გამომწვევი რისკ-ფაქტორების დადგენა
- ❖ პაროდონტის დაავადებებსა და შედარებით გავრცელებულ ზოგად-სომატურ დაავადებებს შორის კავშირის გამოვლენა

კვლევის სიახლე

ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით შეფასდა:

- ❖ თანკბილვის ანომალიების და პაროდონტის დაავადებების გავრცელება სამეგრელოს რეგიონის ქალაქ სენაკის გამოკვლეულ პოპულაციაში
- ❖ შეფასდა თანკბილვის ანომალიებს და პაროდონტის დაავადებებს შორის შესაძლო კორელაცია
- ❖ დადგინდა თანკბილვის ანომალიის ცალკეულ სახეობებსა და პაროდონტის დაავადებებს შორის ხშირი თანხვედრის არსებობა
- ❖ პაროდონტიტის IV სტადიის მქონე პაციენტებში, ექსტრაქციული კბილების მორფოლოგიური კვლევის კლასიკური მეთოდის გამოყენებით დადგინდა შემდეგი სახის მორფოლოგიური ცვლილებები: ლეიკოციტურ-ლიმფოპისტიოციტურუჯრედული ინფილტრაცია, მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმის ჰიპერპლაზია, ფიბრობლასტების პროლიფერაცია, შემაერთებული ქსოვილის გამრავლება, ეპითელიუმის მსუბუქი და ზომიერი დისპლაზია, შეშუპება, სისხლძარღვების სკლეროზი, ენდოთელიოციტების პროლიფერაცია, მიკროაბსცესების ჩამოყალიბება და შორსწასულ შემთხვევაში ნეკროზის კერები.

❖ მიღებული შედეგების ანალიზის მიხედვით განისაზღვრა აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობის ორთოდონტიული და პაროდონტოლოგიური მომსახურების აუცილებლობა.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

კვლევის შედეგად აღნიშნული რეგიონის გამოკვლეულ პოპულაციაში შეფასდა თანკბილვის ტიპი და პაროდონტის სტატუსი, მათი გავრცელების სიხშირე და მათ შორის კორელაციის არსებობა. გამოიკვეთა კავშირი აღნიშნულ დაავადებებსა და შესაძლო რისკ-ფაქტორებს შორის.

აღნიშნულ რეგიონში პირველად განხორციელდა მსგავსი ტიპის კვლევა, რომლის შედეგებიც საინტერესო იქნება ეპიდემიოლოგებისთვის, სტომატოლოგებისთვის და ჯანდაცვის ორგანოების წარმომადგენლებისთვის.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება დაიგეგმოს საპროფილაქტიკო და სამკურნალო ღონისძიებები, რაც შეამცირებს აღნიშნული დაავადებების გავრცელებას და მოახდენს პროცესის კუპირებას.

ძალიან მნიშვნელოვანია დაიგეგმოს აღმზრდელობით-საგანმანათლებლო ღონისძიებები პირის ღრუს დაავადებების ცნობადობასთან და ჰიგიენასთან დაკავშირებით სტომატოლოგების, პედაგოგების, პედიატრების, ჯანდაცვის ორგანოების წარმომადგენლების ჩართულობით.

პრევენციული ღონისძიებები გულისხმობს ყოველდღიურ ჰიგიენას სახლის პირობებში და პირის ღრუს პროფესიონალურ წმენდას ექიმის მიერ.

პროფილაქტიკის მიზნით აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამები მოსწავლეებისთვის, ორსულებისთვის და ზოგადად მოსახლეობისთვის, რაც განაპირობებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ჯანმრთელი პირის ღრუს მართვა უნდა იწყებოდეს ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე პედიატრების აქტიური ჩართულობით. პირველადი სტომატოლოგიური კონსულტაცია რეკომენდებულია ბავშვის ადრეული ასაკიდან.

თავი I

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. თანკბილვის ანომალიები და დეფორმაციები

თანკბილვის ანომალიები და დეფორმაციები არის ყბა-კბილთა სისტემის განვითარების, კერძოდ, კბილთა დგომის და კბილთა რკალების შეთანასოვნების გადახრა მიღებული ნორმიდან [165], რასაც თან ახლავს ფუნქციური [114] და ესთეტიური დარღვევები. ანომალიები არის მყარი თანდაყოლილი გადახრა, ხოლო დეფორმაციები კი შეძენილი მყარი ცვლილება, რომელიც ვითარდება ზრდა-განვითარების დარღვევების შედეგად პოსტნატალურ პერიოდში [123, 177, 178].

თანკბილვის ანომალიები არ იწვევს სიცოცხლისთვის შეუთავსებელ ცვლილებებს ადამიანის ორგანიზმში, მაგრამ სხვადასხვა ხარისხით გავლენას ახდენს ინდივიდზე, ზოგადად საზოგადოებაზე და მათი ცხოვრების ხარისხზე [154]. კერძოდ, ზემოქმედებს ადამიანების ესთეტიურ გარეგნობაზე [126], არღვევს სახის ჰაბიტუსს და ჰარმონიას, ასევე იწვევს ანატომიურ ცვლილებებს პირის ღრუში, რაც საბოლოო ჯამში მოქმედებს ინდივიდების ფსიქოსოციალურ კეთილდღეობაზე. ღიმილი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი სავიზიტო ბარათი, ადამიანებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახის მიმზიდველობაში და ამარტივებს კომუნიკაციას საზოგადოებასთან. ამრიგად, თანკბილვის ანომალიები შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემად [6, 49, 165, 192].

არსებობს თანკბილვის ანომალიების მრავალი კლასიფიკაცია, მაგრამ ორთოდონტიაში ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი არის ენგლეს კლასიფიკაცია, რომლის საფუძველია პირველი მუდმივი მოლარების შეთანასოვნება. ენგლეს I შეესაბამება ნეიტრალურ თანკბილვას, როდესაც პირველი მუდმივი მოლარის დგომა ნორმაშია და ცვლილებები აღინიშნება პირველი მუდმივი მოლარის წინ - ფრონტალურ მიდამოში [1, 38].

დისტალური თანკბილვა არის საგიტალური სიბრტყის ანომალია და შეესაბამება ენგლეს II კლასს და ხშირად გვხვდება კომბინაციაში ღრმა, ღია და ირიბ თანკბილვასთან. დისტალური თანკბილვის დროული და სწორი მკურნალობა უმეტეს შემთხვევაში დადებით შედეგს იძლევა [37, 88, 193].

მედიალური თანკბილვა საგიტალური სიბრტყის ანომალიაა და ენგლეს კლასიფიკაციის მიხედვით შეესაბამება III კლასს. მედიალური თანკბილვისთვის დამახასიათებელია ესთეტიური და ფუნქციური დარღვევები და ხშირად გვხვდება თანხვედრაში ღია და ირიბ თანკბილვასთან. მედიალური თანკბილვის ორთოდონტიული მკურნალობა ეფექტურია სარძევე და ფორმირებადი თანკბილვის დროს, ხოლო ზრდასრულ ასაკში ორთოდონტიული მკურნალობა ქირურგიულ მეთოდებთან კომბინაციაში მიმდინარეობს [11, 44, 51, 89, 173, 193].

ღრმა თანკბილვა არის ვერტიკალური სიბრტყის ანომალია, რომლის დროსაც ზედა ყბის ფრონტალური კბილები 1/3- ზე მეტად გადმოკბილავენ ანტაგონისტებს. კომბინაციაში გვხვდება დისტალურ თანკბილვასთან. ღრმა თანკბილვა ერთ-ერთი გავრცელებული თანკბილვის ანომალიაა, რომლის წარმატებული მკურნალობა საკმაოდ რთული პროცესია [46, 98].

ღია თანკბილვა მიეკუთვნება ვერტიკალური სიბრტყის ანომალიას, რომლის მახასიათებელიც არის კბილებს შორის ვერტიკალური ნაპრალი ანუ კონტაქტების არ არსებობა ფრონტალურ ან გვერდით მიდამოში. მკურნალობის შემთხვევაში ურთულესია მიღებული შედეგის შენარჩუნება [117, 143], ხშირია კავშირი ღია და მედიალურ თანკბილვას შორის [94, 140, 181].

ჯვარედინი თანკბილვა არის ტრანსვერზული სიბრტყის ანომალია, ანუ თანკბილვა დარღვეულია განივი მიმართულებით. აღინიშნება ერთ-ერთი ყბის კბილთა რკალის ცდომა მეორე კბილთა რკალის და ქალას შუა ხაზის მიმართ. ხშირად ჯვარედინი თანკბილვის დროს დარღვეულია საღეჭი კუნთების ფუნქცია და საკმაოდ ხშირია საფეთქელ-ქვედა ყბის ფუნქციური დარღვევები [98, 110, 172].

1.2. თანკბილვის ანომალიების ეტიოლოგია.

თანკბილვის ანომალიები განიხილება როგორ მრავალფაქტორიანი და მრავალდონიანი პრობლემა [100], რომლესაც არ აქვს კონკრეტული მიზეზი. შესაძლებელია გამოწვეული იყოს სხვადასხვა ეტიოლოგიური ფაქტორებით, გენეტიკური წინასწარგანწყობით, გარემოს დაცვითი და ეთნიკური ფაქტორებით ან მათი კომბინაციით. მაგალითად, თანკბილვის მესამე კლასის ანომალია ძირითადად ატარებს გენეტიკურ ხასიათს, გვხვდება ოჯახებში და გარემო ფაქტორების

ზემოქმედების შედეგად აღინიშნება ცვლილებები ძვალში და რბილ ქსოვილებში. საბოლოო ჯამში ადგილი აქვს ფუნქციურ ადაპტაციას და თანკბილვის სხვადასხვა პრობლემის ჩამოყალიბებას [10].

ამრიგად, თანკბილვის ანომალიების გამომწვევი შეიძლება იყოს როგორც ენდოგენური (მემკვიდრეობითი ხასიათის და ენდოკრინული), ასევე შეძენილი ანუ ეგზოგენური ფაქტორები. შეძენილ ფაქტორებად განიხილება გარემოს ზემოქმედების შედეგად მიღებული ცვლილებები განვითარების პრენატალურ და პოსტნატალურ პერიოდში [100, 192].

ეტიოლოგიურ ფაქტორებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყბა-კბილთა სისტემის განვითარების მორფოდიფერენცირების და ჰისტოდიფერენცირების ეტაპებზე [100], რადგან, რაც უფრო მაღალია გენეტიკური ფაქტორის წვლილი ეტიოლოგიაში, მით ნაკლებია პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტურობა და ზოგადად უფრო რთულია ორთოდონტიული მკურნალობის წინასწარი პროგნოზი [39, 61].

როგორც უკვე აღინიშნა, ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების და დეფორმაციების მრავალფეროვან ეტიოლოგიურ ფაქტორებს შორის არსებობს მეტად და ნაკლებად გავრცელებული რისკ-ფაქტორები, რაც ბავშვთა ასაკში იწვევს თანკბილვის ანომალიების ჩამოყალიბებას. კერძოდ, ყბა-კბილთა სისტემის განვითარების დარღვევის ხშირ ეტიოლოგიურ ფაქტორად შეიძლება დასახელდეს კბილთა კარიესი, კბილთა ტრავმა, მავნე ჩვევები და სხვა [192].

თანკბილვის ანომალიების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ხშირი გამომწვევია ძილის აპნოე, რაც გულისხმობს ზედა სასუნთქი გზების კოლაფსს ძილის დროს, და რაც იწვევს ჟანგბადის ნაკადის შემცირებას ან შეწყვეტას. აღნიშნული პათოლოგია აღინიშნება ბავშვთა 1-5%-ში, რაც ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია ადენოტონზილური ჰიპერტროფიით. დროული ზომების მიუღებლობის შემთხვევაში, რაც უმეტეს წილად გულისხმობს ქირურგიულ ჩარევას, დაავადების პროგრესირების შემთხვევაში ადგილი აქვს თანკბილვის ანომალიების ჩამოყალიბებას [32, 59, 103, 175].

არსებობს ჰიპოთეზა სხეულის ტანდევობასა და თანკბილვას შორის ფუნქციურ და ანატომიურ კავშირზე [112, 113, 121]. კერძოდ, ქვედა ყბის მდებარეობა პირდაპირ

კავშირშია სხეულის პოზასთან მიმართებაში, რაც გულისხმობს რომ სხეულის არასწორი დგომა იწვევს ქვედა ყბის არასწორ მდებარეობას და შესაბამისად თანკბილვის ანომალიის ჩამოყალიბებას. ასევე, კვლევებით დამტკიცებულია, რომ თანკბილვის II კლასის ანომალიის დროს სხეულის სიმძიმის ცენტრი გადანაცვლებულია წინ [18, 134].

1.3. თანკბილვის ანომალიების დიაგნოსტიკა.

ორთოდონტიული დიაგნოსტიკა მოიცავს ძირითადი და დამხმარე მეთოდების გამოყენებას. ძირითადი მეთოდებია პაციენტის ზოგადი გამოკვლევა (ანამნეზის შეკრება) და კლინიკური გამოკვლევა, ხოლო დამხმარე მეთოდებია: რენტგენოლოგიური, ფოტოგრაფიული [36] და ა.შ. რენტგენოლოგიური გამოკვლევა (ორთოპანტომოგრაფია [162], ცეფალომეტრია [168], კომპიუტერული ტომოგრაფია [101]) გამოიყენება ყბა-სახის ჩონჩხის კბილებსა და რბილ ქსოვილებს შორის ურთიერთშეთანასოვნების შესაფასებლად [90, 190].

არსებობს თანკბილვის ანომალიების მრავალი ტიპი, მაგრამ კონკრეტული სახის ანომალია განისაზღვრება დამახასიათებელი სახის ფორმის თავისებურებებით და ხშირ შემთხვევაში პაციენტებს აღენიშნებათ მსგავსი სახის ნაკვთები, ანალოგიური მორფოლოგიური და ფუნქციური თავისებურებებით. შესაბამისად, თანკბილვის ანომალიების ტიპის დადგენაში კლინიკური გამოკვლევა წარმოადგენს დიაგნოსტიკაში წამყვან მეთოდს და უნივერსალურ საშუალებას [104].

კლინიკური გამოკვლევა მოიცავს: ვიზუალურ დათვალიერებას - ტანდგობის შეფასება, სახის ესთეტიკის - სიმეტრიის შესწავლას, კბილების და კბილთა რკალების შეთანასოვნების, პირის ღრუს რბილი ქსოვილების მდგომარეობა, პირის ღრუს ფუნქციის და საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის გამოკვლევას [166].

ყბა-კბილთა ანომალიების შეფასებისას აუცილებელია ჩატარდეს სრულფასოვანი დიაგნოსტიკა, დადგინდეს ეტიოლოგიური ფაქტორები და გამოვლინდეს ოკლუზიური განვითარების ნორმიდან გადახრა, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას იძლევა დაავადებების განვითარების პროგნოზის წინასწარი შეფასებისთვის, მკურნალობის პროცესის დაგეგმვისთვის, სავარაუდო მკურნალობის ვადების განსაზღვრისთვის და შესაძლო რეციდივის თავიდან აცილებისთვის [180].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადრეული დიაგნოსტიკა საშუალებას იძლევა მოხდეს პაციენტის მკურნალობის ოპტიმალური მართვა. კერძოდ, აქტიური მკურნალობის შედეგად მიღებულ იქნას ორთოგნატიული ან მასთან მაქსიმალურად მიახლოებული კლინიკური სურათი. თანკბილვის ანომალიების მკურნალობა უნდა მოხდეს აქტიური ზრდის ეტაპის დასრულებამდე, რაც ამცირებს შესაძლო გართულებებს, დაგეგმილი მკურნალობის მოცულობას და სირთულეს [100].

გარდა კლინიკური გამოკვლევისა, არსებობს ორთოდონტიული მკურნალობის საჭიროების შეფასების ინდექსი (IOTN), რომელიც აფასებს სხვადასხვა თანკბილვის ანომალიების მქონე პაციენტების ორთოდონტიული მკურნალობის საჭიროებას, არსებობს ხუთი კლასი „მკურნალობის არ არსებობიდან“ - მკურნალობის „ექსტრემალურ საჭიროებამდე“ [82].

1.4. ორთოდონტიული მკურნალობის მნიშვნელობა თანკბილვის ანომალიების დროს.

თანკბილვის ანომალიების კორექციის უნივერსალური საშუალებაა ორთოდონტიული მკურნალობა, რომლის მიზანია ორთოგნატიული თანკბილვის ან მასთან მაქსიმალურად მიახლოებული შედეგის მიღება. ორთოდონტიულ მკურნალობაში, თანკბილვის ანატომიური კორექციის გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია ოკლუზიის სტატიური და ფუნქციური ურთიერთობების ძირეული შეცვლა, თუმცა არ არსებობს თვისებები, რომლებიც „იდეალურ“ ფუნქციურ ოკლუზიას წარმოადგენს [40].

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ინტერესი ორთოდონტიული მკურნალობისადმი საგრძნობლად გაიზარდა მთელ მსოფლიოში [35, 49]. სრულფასოვანი ორთოდონტიული თერაპია გულისხმობს ყბა-სახის ნორმალური ზრდა-განვითარების ხელშეწყობას ადრეული ასაკიდან. კერძოდ, კბილების, კბილთა რკალების და ყბების შეთანასოვნების კორექცია, ფუნქციური დარღვევების აღდგენა, სახის ესთეტიკის გაუმჯობესება და შესაბამისად პაციენტების თვითშეფასების დონის ამაღლება [68, 122]. ხშირ შემთხვევაში ორთოდონტიული მკურნალობის შედეგად მაგარი ქსოვილების ცვლილებას შესაძლებელია თან ახლდეს სახის რბილი ქსოვილების სპონტანური ცვლილება, რაც თავისთავად დადებითად მოქმედებს

ადამიანების თვითშეფასებაზე [167].

თანკბილვის ანომალიები პირდაპირ კავშირშია ინდივიდების ფსიქოსოციალურ პრობლემებთან, რადგან აღნიშნული პათოლოგია დაკავშირებულია დენტოფაციალურ ესთეტიკასთან, რასაც თან ახლავს პირის ღრუს ფუნქციონირების დარღვევა. საბოლოო ჯამში აღნიშნული პრობლემები ძალიან დიდ გავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე. რადგანაც საზოგადოებრივი ძალები განსაზღვრავს მისაღები, ნორმალური მიმზიდველი ფიზიკური გარეგნობის ნორმებს, საზოგადოებაში კარგი სტომატოლოგიური გარეგნობა საქმიანობაში ბევრ წარმატებას უტოლდება [81, 165].

როგორც უკვე აღინიშნა, თანკბილვის ანომალიები იწვევს ფუნქციურ დარღვევებს და ხშირ შემთხვევაში მიზეზია საფეთქელ-ქვედა ყბის სახსარში წარმოშობილი პათოლოგიის და პროცესის პროგრესირების შემთხვევაში აღნიშნულ მიდამოში ტკივილის წარმოქმნის [4, 55, 95]. ღრმა თანკბილვა შეიძლება მიზეზი იყოს აღნიშნული ცვლილებების [33, 114].

1.5. თანკბილვის ანომალიების გავრცელება.

ღრმის გარკვეულ ინტერვალში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯანმრთელობის პრობლემების დადგენაში, მათი აღმოფხვრის ღონისძიებების შემუშავებაში, საჭირო მონაცემების მოპოვებაში და ასოციაციების ჰიპოთეზების გენერირებასა და ანალიზში. ასეთი გზებით მიღებული ინფორმაციების საშუალებით ხდება უფრო ზუსტი და სანდო მტკიცებულებების მიღება ჯანმრთელობის პრობლემის შესახებ, პრიორიტეტების განსაზღვრა და ჯანმრთელობის პოლიტიკის შემუშავება ხარისხის ანალიზის მკაცრი კრიტერიუმებით [10].

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციის თანახმად პირის ღრუს ძირითადი დაავადებები უნდა დაექვემდებაროს პერიოდულ ეპიდემიოლოგიურ გამოკვლევას [165].

ორთოდონტიული მკურნალობა ეპიდემიოლოგიური მონაცემების მიხედვით საინტერესოა სტომატოლოგიური ჯანდაცვის პროგრამებისთვის, კლინიკური მკურნალობისთვის, მკურნალობის პრიორიტეტის სკრინინგისთვის, რესურსის დაგეგმვისთვის და დაფინანსებისთვის [82, 165].

ბავშვთა ასაკში თანკბილვის ანომალიების შეფასება ხელს უწყობს დაავადებების დროულ დიაგნოსტიკას, ადრეულ პროფილაქტიკას და შესაბამისად უზრუნველყოფს თანკბილვის ანომალიების ჩამოყალიბების პრევენციას და შესაძლებლობას თავიდან იქნას აცილებული ძვირად ღირებული ორთოდონტიული მკურნალობა [165].

თანკბილვის ანომალიები გავრცელების კუთხით რიგით მესამე ადგილზეა პირის ღრუს გავრცელებულ დაავადებებს შორის, კბილთა კარიესის და პაროდონტის დაავადებების შემდეგ [6, 49, 158, 165, 192]. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რომელშიც მონაწილეობდა 900 პაციენტი, 40,3 %-ს ჰქონდა მინიმუმ ერთი სახის თანკბილვის ანომალია [176].

ერთ-ერთი გლობალურად ჩატარებული სტატისტიკური კვლევების ანალიზის მიხედვით, რომელიც ემყარება 2977 სამეცნიერო ნაშრომს, თანკბილვის ანომალიის I კლასი გავრცელებულია პოპულაციის 72,74%-ში, II კლასი - 23,11%, III კლასი 3,98%, რაც შეეხება ღრმა თანკბილვას - 24,34%-ში, ღია თანკბილვა 5,29%-ში, ხოლო ჯვარედინი 11,72%-ში [10].

სტომატოლოგიური ანომალიების საერთო გავრცელება მსოფლიო მასშტაბით 20,9 %-ია. აქედან დაახლოებით 17,9 %-ს აღნიშნება მხოლოდ ერთი რომელიმე სახის თანკბილვის ანომალია, 2,7 %-ს ორი სახის ანომალია, ხოლო 0,3 %-ს ორზე მეტი სახის ანომალია [100]. რაც შეეხება ცალკეულ კბილთა ანომალიებს, ჰიპოდონტია აღინიშნება 7,1%-ში, ზეკომპლექსური კბილების ანომალია 3,95%-ში, კბილების ანკილოზი 2,8%-ში და კბილების ტრანსპოზიციო 1,4%-ში. ყველაზე ხშირად აღინიშნება ქვედა ყბის მეორე პრემოლარის ადენტია, მოსახლეობის 3,7%-ში მხოლოდ ერთი კბილის ადენტია და 0,08%-ში ექვსი და მეტი კბილის მრავლობითი ადენტია [100, 189].

თანკბილვის ანომალიების გავრცელება და გამოვლენის ხარისხი განსხვავდება სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში [100]. მაგალითად, აფრიკის მოსახლეობაში ყველაზე მაღალი გავრცელებით ხასიათდება თანკბილვის I კლასის ანომალია (89,44%) და ღია თანკბილვა (7,82%) თანკბილვის სხვა ანომალიებთან შედარებით. მაშინ, როდესაც კავკასიელებში აღინიშნება თანკბილვის II კლასის ანომალიის ყველაზე მაღალი პრევალენტობა (22,9%). სტატისტიკურად არ იყო აღმოჩენილი

მნიშვნელოვანი სხვაობა თანკბილვის III კლასის, ღრმა და ჯვარედინ ანომალიებს შორის [10].

შერეული გავრცელების მიხედვით აფრიკაში აღინიშნება თანკბილვის I კლასის ანომალიის ყველაზე მაღალი გავრცელება (90,0 %) და II კლასის გავრცელების ყველაზე დაბალი (7.5%) მაჩვენებელი. თანკბილვის II, III კლასის და ღია თანკბილვის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ევროპაში (31,95%), აზიაში (5,76%) და აფრიკაში (8,3%). ღრმა თანკბილვის გავრცელება მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო ევროპაში (37,4%) სხვა გეოგრაფიულ რაიონებთან შედარებით [10].

სტატისტიკური კვლევის მიხედვით შესწავლილ იქნა თანკბილვის ანომალიების გავრცელება ნეპალის მოსახლეობაში. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობდა 2074 ბავშვი (1149 ბიჭი და 925 გოგონა) 12 დან 15 წლამდე. შეფასდა მათი ორთოდონტიული მკურნალობის საჭიროება „ორთოდონტიული მკურნალობის საჭიროების შეფასების ინდექსის“ (IOTN) გამოყენებით და თანკბილვის ანომალიების გავრცელება, კლასი I - 48,50 %, კლასი II - 32,68 % და კლასი III- 4,32 %. რაც შეეხება ორთოდონტიული მკურნალობის საჭიროებას IOTN-მ მიხედვით, გამოკვლეულთა 21, 59%-ს ესაჭიროებოდა ექსტრემალური მკურნალობა, 24,07% - ს მკურნალობის მძიმე, 24,07%-ს ზომიერი, 14,7%-ს მსუბუქი, ხოლო 15,02% არ საჭიროებდა მკურნალობას. კვლევის შედეგების მიხედვით თანკბილვის I კლასის ანომალია ყველაზე მეტად გავრცელებული ანომალიაა, ხოლო III კლასის ყველაზე ნაკლებად [158].

ასევე შეფასდა თეირანის სკოლის მოსწავლეებში ორთოდონტიული მკურნალობის საჭიროება IOTN-ს და სტომატოლოგიური ჯანმრთელობის კომპონენტის (DHC) გამოყენებით. 17 წლის 684 (343 ბიჭი და 341 გოგონა) ახალგაზრდა შერჩეულ იქნა 12 სკოლიდან. კვლევის შედეგად დადგინდა თანკბილვის I კლასის ანომალიის პრევალენტობა (65,2%) თანკბილვის სხვა ანომალიებთან შედარებით [82].

1.6. თანკბილვის ანომალიების მკურნალობა.

თანკბილვის ანომალიების მკურნალობაში ოქროს წესია - ადრეული

ორთოდონტიული მკურნალობა. კერძოდ, დროული და სწორი ორთოდონტიული მკურნალობის შედეგი მით უფრო სწრაფია და სტაბილური, რაც უფრო ადრე არის დაწყებული [27, 54, 177].

ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების პროფილაქტიკის, მკურნალობის და რეციდივის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა ორთოდონტიული აპარატები, რომლებსაც გააჩნია გარკვეული ჩვენებები ასაკთან შესაბამისობაში. დანიშნულების მიხედვით არსებობს სამკურნალო, საპროფილაქტიკო და რეტენციული აპარატები, მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელებული თანკბილვის ანომალიების მკურნალობისთვის არის სამკურნალო, მექანიკური ტიპის აპარატი - ბრეკეტ სისტემა [13, 188].

ბრეკეტები არის ფიქსირებული ორთოდონტიული აპარატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც პასუხისმგებელია ბიომექანიკურ ძალებზე კბილების სასურველი გადაადგილების დროს [142], თანკბილვის ანომალიის გამოსწორების მიზნით. წარმატებული მკურნალობა დიდწილად დამოკიდებულია კბილისა და ბრეკეტის კავშირზე [5].

გარდა ბრეკეტ სისტემისა, თანკბილვის II კლასის ანომალიის დროს შესაძლებელია ფუნქციური აპარატების გამოყენება, რომელიც დადებითად მოქმედებს მოზარდების სახის პროფილზე, რბილ ქსოვილებზე და იძლევა სტაბილურ და გრძელვადიან შედეგს [64]. თანკბილვის III კლასის ანომალიების მკურნალობის დროს ბავშვებში და მოზარდებში უპირატესობა ენიჭება პირგარეთა აპარატებს კომბინაციაში პირშიგნითა აპარატთან. მაგალითად, სასის ექსპანდერი დილარის ნილაბთან ერთად [12].

ორთოდონტიული მკურნალობის შემდეგ დამამთავრებელი ეტაპი არის რეტენციული პერიოდი მიღებული შედეგის შენარჩუნების მიზნით, განსაკუთრებით მესამე კლასის ანომალიების მკურნალობის შემდეგ [146].

1.7.გართულებები ორთოდონტიული მკურნალობის დროს.

არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც დადგენილია კორელაცია ორთოდონტიული მკურნალობის დროს პირის ღრუში ფიქსირებულ აპარატს და პაროდონტის დაავადებების განვითარებას შორის [35].

ნერწყვის ხარისხი (სანერწყვე ცილის შემცველობა, სიბლანტე, pH და ბუფერული ტევადობა) და რაოდენობა (ძირითადად დაკავშირებულია ნაკადის სიჩქარესთან) გადამწყვეტ როლს ასრულებს კარიესულ გარემოში მინერალების დემინერალიზაციასა და რემინერალიზაციას შორის წონასწორობაში. სპეციფიკურმა ცვლილებებმა, როგორცაა გაზრდილი pH, ბუფერული ტევადობა და ნაკადის სიჩქარე, შეიძლება ხელი შეუწყოს კბილების კარიესისადმი მგრძობელობის შემცირებას. ნერწყვის ყველა ამ თვისებას მნიშვნელობა აქვს ბრეკეტ სისტემით მკურნალობის დროს. ნადების შეკავების შედეგად რთულდება პირის ღრუს ოპტიმალური ჰიგიენის დაცვა და იქმნება წინაპირობა მინანქრის დემინერალიზაციის და თეთრი ლაქების წარმოქმნის [7, 15].

ორთოდონტიული მკურნალობის დროს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გართულებაა გინგივიტი. პირის ღრუში ფიქსირებული ბრეკეტ სისტემა წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტიოლოგიურ ფაქტორს დემინერალიზაციისთვის და ბრეკეტებს ირგვლივ ნადების დაგროვებისთვის, რადგან შეფერხებულია ნერწყვით პირის ღრუს ფიზიოლოგიური წმენდის ფუნქცია. Bogren და სხვების მიხედვით კბილზე დაგროვილ ნადებში არსებული ბაქტერიების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა გინგივიტის და პროცესის პროგრესირების შემთხვევაში იწვევს პაროდონტიტის განვითარებას [35].

მიუხედავად იმისა, რომ ორთოდონტიული მკურნალობა იწვევს პაროდონტული სტატუსის გაუარესებას პაროდონტოლოგიური კომპლექსური მკურნალობის დროს, ორთოდონტიულ თერაპიას ენიჭება ერთ-ერთი ნიშნელოვანი როლი [66].

1.8. პაროდონტის დაავადებები: გინგივიტი და პაროდონტიტი.

პაროდონტის დაავადებების დროს ცვლილებები მიმდინარეობს პერიოდონტში, რომლის შემადგენლობაშიც შედის კბილის დამხმარე აპარატები: ღრძილი, ცემენტი, ალვეოლური ძვალი და კბილისირგვლივი იოგი [62, 182].

გინგივიტი არის ღრძილის ანთება და მიეკუთვნება პაროდონტის დაავადებათა მსუბუქ ფორმას, რომლის დროსაც კბილ-ღრძილოვანი მთლიანობა შენარჩუნებულია და გვხვდება შემთხვევათა 90%-ში, პროცესი შექცევადია, რომელიც უკუგანვითარდება პირის ღრუს ჰიგიენის გაუმჯობესების შედეგად [62, 79, 150].

პაროდონტიტი არის მდგომარეობა, როდესაც გინგივიტიდან შესაბამის გარემო პირობებში პროცესი პროგრესირებს და გადადის შეუქცევად, დესტრუქციულ, ანთებით მდგომარეობაში, რომლის დროსაც ირღვევა კბილ-ღრძილოვანი მთლიანობა [20, 42, 78, 93].

პაროდონტიტი განისაზღვრება, როგორც პირის ღრუს პოლიმიკრობული ანთებითი მდგომარეობა, რომელიც იწყება ღრძილების მარტივი ანთებით, პროცესის პროგრესირების შემთხვევაში ხასიათდება კბილების დამხმარე სტრუქტურების და პაროდონტის კომპლექსის შეუქცევადი-იმუნოლოგიური დაზიანებით, ალვეოლური ძვლის დაკარგვით, პათოლოგიური ჯიბის ფორმირებით და საბოლოოდ კბილების დაკარგვით [21, 28, 75, 92, 141, 156, 191].

პაროდონტის დაავადებები საჭიროებს ანთებითი პროცესის კუპირებას დაავადების განვითარების საწყის ეტაპზე. დაავადების მკურნალობის უგულვებელყოფის შემთხვევაში არსებული პათოფიზიოლოგიური მდგომარეობა ნარჩუნდება და [93] პროგრესირების შემთხვევაში კარიესისგან დამოუკიდებლად შეიძლება გამოიწვიოს ნაწილობრივი ან სრული ადენტია [20].

1.9. პაროდონტიტის გამომწვევი ეტიოლოგიური ფაქტორები.

პაროდონტის დაავადებების სიმძიმე დამოკიდებულია გარემოზე და რისკ-ფაქტორებზე. ეტიოლოგიური ფაქტორები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: მოდიფიცირებადი (მაგ: თაბაქოს წევა) და არამოდიფიცირებადი (მაგ: გენეტიკური წინასწარგანწყობა) [93, 191].

გენეტიკურ ანუ არამოდიფიცირებად რისკ-ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ABO სისხლის ჯგუფის ანტიგენები, რომლებიც გავლენას ახდენენ პაროდონტიტის მიმდინარეობაზე და სიმძიმეზე [123].

პაროდონტის დაავადების განვითარების მოდიფიცირებულ რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება სხვა და სხვა ეტიოლოგიური ფაქტორების კომპლექსური თანხვედრა, როგორცაა აქტიური ჰერპესვირუსები, პათოგენური მიკროორგანიზმები, მასპინძლის იმუნიტეტი, გარემო ფაქტორების ზემოქმედება, პირის ღრუ ჰიგიენური მდგომარეობა, კვება, თამბაქოს მოხმარება, ორთოდონტიული მკურნალობა, ორთოპედიული კონსტრუქციები და ა.შ. [123, 160].

ახალგაზრდა ასაკში პაროდონტის მოუმწიფებელი ქსოვილებისთვის ჩვეულებრივი გადატვირთვაც კი შესაძლებელია უზომოდ მნიშვნელოვანი გახდეს. ღია თანკბილვის შემთხვევაში, როდესაც პირის დახურვის დროს ფრონტალური კბილები არც კი ეხება ერთმანეთს, შესაძლოა წარმოიშვას ნადები, გინგივიტი და ზოგჯერ პაროდონტიტიც [119].

თუმცა, დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ პაროდონტის დაავადებების ძირითადი გამომწვევები არიან პირის ღრუში არსებული მიკრობები [191]. ცნობილია, რომ პირის ღრუში არსებობს 800-მდე სახეობის მიკროორგანიზმი, რომლებსაც აქვთ კბილების ყელის ზედაპირზე ნადების დაგროვების და ბაქტერიული ბიოაპკის წარმოქმნის უნარი, რომელშიც ასევე ბინადრობს სხვადასხვა პათოლოგიური მიკრობი [111, 171].

არსებული მიკრობები კბილების ზედაპირზე დიდხანს დაყოვნების შედეგად აღწევენ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის უფრო ღრმა ქსოვილოვან ფენებში და პერიოდონტში [62], სადაც რეაქციაში შედიან პირველი ხაზის დამცველ, თანდაყოლილ იმუნურ უჯრედებთან - ნეიტროფილებთან. აღნიშნული უჯრედების მიგრაცია კაპილარებიდან პაროდონტის ქსოვილში გამოწვეულია მიკრობული ცხოველმყოფელობის პროდუქტებით და ანთების საწინააღმდეგო ფაქტორებით [45, 76].

სუბგინგივალურ მიდამოში მიკრობების კოლონიზაცია, მათი რაოდენობრივი ზრდა და მუდმივი არსებობა შესაბამის გარემო პირობებში იწვევს გინგივიტის განვითარებას, თავდაცვითი რეაგირებიდან გამომდინარე ადგილი აქვს პერიოდონტის ქსოვილის სწრაფ განადგურებას და ოსტეოკლასტოგენეზს, რაც გულისხმობს ყბის ძვლის ალვეოლური მორჩის პროგრესირებად დესტრუქციას [160] და განლევას, პათოლოგიური ჯიბის ფორმირებას [111, 171], შესაბამისად კბილების პათოლოგიურ მოძრაობას და საბოლოო ჯამში კბილების მრავლობით მეორად ედენტულიზმს [87, 93, 102, 132].

აღნიშნული მიკროორგანიზმები ყველა შემთხვევაში არ არიან პაროდონტის დაავადებების გამომწვევები, ეს გარკვეულწილად არის სიმბიოზურ-ანტაგონისტური ურთიერთობა პირის ღრუს ბაქტერიასა და მასპინძელს შორის [58, 191].

პაროდონტიტის განვითარებაში და პროგრესირებაში მნიშვნელოვანია პირის ღრუს ანაერობულ ბაქტერიასა [70] და მასპინძელ ორგანიზმს შორის ურთიერთობა [58]. ე.ი. შესაბამის გარემო პირობებში, როდესაც მასპინძელ ორგანიზმში დარღვეულია პირის ღრუს მიკროფლორა, დაქვეითებულია იმუნური სისტემა და აღინიშნება პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენა, ადგილი აქვს ანთებით რეაქციას და დაავადების განვითარებას [93].

პირის ღრუში გამოვლენილ მრავალრიცხოვან მიკროორგანიზმებს შორის არიან პაროდონტოპათოგენები, რომლებიც უშუალოდ იწვევენ პაროდონტიტის დაავადებებს [118, 183].

ელექტრონულ-მიკროსკოპული კვლევების მიხედვით ღრძილის ეპითელიუმში, მიმდებარე შემაერთებელ ქსოვილში და კაპილარებში აღინიშნება fusiform, coccobacilli, and spirochetes არსებობა. კერძოდ, პაროდონტიტის განვითარებაზე კონკრეტული სახეობის მიკროორგანიზმებია პასუხისმგებელი: *Aggregatibacter actinomycetemcomitans*, *Porphyromonas gingivalis*, *Prevotella intermedia*, *Tannerella forsythensis* и *Treponema denticola* [2, 16]. ამრიგად, არსებულ პაროდონტოპათოგენებს აქვთ უნარი უჯრედშორისი კოლონიზაციის, ღრძილის ეპითელიუმის და სისხლის უჯრედების პათოლოგიური დაზიანების [17, 141].

თუმცა, ზოგიერთი ავტორის მონაცემებით არსებობენ წითელი კომპლექსის ბაქტერიები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაკავშირებული მძიმე პაროდონტიტის განვითარებასთან, კერძოდ: *Tannerella forsythia*, *Treponema denticola* and *Porphyromonas gingivalis* [31, 58, 72, 75, 191]. მათ შორის ძირითადი გამომწვევი აგენტია გრამ უარყოფითი, ანაერობული ბაქტერია LPS of *Porphyromonas gingivalis* [70, 75, 102, 157, 159].

გარდა იმისა, რომ კბილების ირგვლივ არსებულ მიკროორგანიზმებს შეუძლიათ შეაღწიონ პერიოდონტის ქსოვილში, რიგ შემთხვევებში ისინი ბიოაპკიდან პენეტრირდებიან პულპაში და იწვევენ პულპიტს, პულპის ნეკროზს ან პერიაპიკალურ დაზიანებას. პულპურ კამერასა და ფესვის არხებში არსებული ნუტრიენტები არიან ძირითადად გრამუარყოფითი, ანაერობული მიკროორგანიზმები, რომლებიც ქმნიან არხშიდა ენდოდონტიურ ბიოაპკს. ძირითადად წარმოდგენილია შემდეგი ექვსი ენდოდონტიური პათოგენი:

Enterococcus faecalis, *Staphylococcus aureus*, *Prevotella nigrescens*, *Selenomonas sputigena*, *Parvimonas micra* და *Treponema denticola*, რომლებიც შეიძლება ჩამოყალიბდეს ინ ვიტროდ როგორც სტანდარტული ღრძილოვანი ბიოაპკი: *Actinomyces oris*, *Veillonella dispar*, *Fusobacterium nucleatum*, *Streptococcus anginosus*, *Strept*, *Prevotella intermedia*, *Campylobacter rectus*, *P. gingivalis*, and *Tannerella forsythia* [111].

პაროდონტის კომპლექსზე მიკროორგანიზმების ზემოქმედების შედეგად დაავადების განვითარება გადის შემდეგ ეტაპებს: 1) მიკრობების კოლონიზაცია ღრძილის ხაზთან, 2) ინტეგრაცია და გადარჩევა ბიოაპკის მიდამოში, 3) მიგრირება ღრძილქვეშა მიდამოში, 4) მასპინძლის ლორწოვანის დამცველობითი რეაქციის ჩახშობა [52].

Porphyromonas gingivalis(Pg), უწოდებენ „keystone oral-pathobiont” [17] და არის პოლიმიკრობული, გრამუარყოფითი, ანაერობული, შავ-პიგმენტური, ინფექციური ეტიოლოგიის, ასკარაოლიზური პათოგენური ბაქტერია, რომელიც პაროდონტიტის განვითარების ძირითადი გამომწვევი აგენტია [58, 63, 75, 119, 159, 191].

P. gingivalis პირველ რიგში მოქმედებს მასპინძელში შეჭრის გზით [71] ლოკალიზდება sub-gingival pathobiome- ში და პათოგენობის მთავარ ფაქტორად ითვლება პროტეინ Rgp და Kgp სეკრეტი, რაც გავლენას ახდენს იმუნური სისტემის კომპონენტებზე [58, 159, 191].

ღრძილის ქსოვილის ბიოაპკში არსებული *P. gingivalis* ცილა GroEL აწარმოებს ანთებითი ციტოკინების სტიმულირებას მასპინძელ იმუნურ უჯრედებში-მაკროფაგებში, იწვევს ოსტეოკლასტოგენეზს, ვირუსულობის ფაქტორის გამოსავლენად იყენებს სისტემას the Bacteroidetes-specific type IX secretion system (T9SS) [170], რაც მოქმედებს იმუნური სისტემის უჯრედებზე, შესაბამისად საფრთხეს უქმნის პაროდონტის ჯანმრთელობას და იწვევს ალვეოლური ძვლის რეზორბციას [107, 156, 157, 159, 170]. *P. gingivalis* მიერ მასპინძელი ორგანიზმის მიერ იმუნური რეაქციის მოდულირება სხვა პათოგენური სახეობების განვითარების და რაოდენობრივი ზრდის საშუალებას იძლევა [75].

თუ პათოგენების (*Porphyromonas gingivalis* (Pg)) მოქმედებას ბიოქიმიის დონეზე შევაფასებთ, ისინი მასპინძელ იმუნურ უჯრედებში წარმოქმნიან proinflammatory cytokines, რაც იწვევს ოსტეოკლასტოგენეზის დარღვევას. ნორმაში, ალვეოლური

ძვლის რემოდელირება კონტროლირდება ოსტეოკლასტების მიერ ძვლის რეზორბციით და ოსტეობლასტების მიერ ძვლის სინთეზირებით [102].

P. gingivalis კოლონიზაცია პირის ღრუში იწყება ადრეული ბავშვობიდან, პერიოდული ანთებითი პროცესის არსებობის გარეშე [157] და ასოცირდება განსაკუთრებით მძიმე ფორმის პაროდონტიტთან, რომელიც ხშირად მდგრადია სტანდარტული მკურნალობის მიმართ [75] და იწვევს პაროდონტის ქსოვილების განადგურებას, რაც მასპინძლის ასაკის მატებასთან ერთად უარესდება [159].

Tannerella forsythia (Tf) არის მკაცრად ანაერობული, გრამ-უარყოფითი ბაცილა *Cytophaga-Bacteroidetes* ოჯახიდან, რომელიც აძლიერებს შესაძლებლობას, რომ *P. Gingivalis* -მა გამოიწვიოს აბსცესის ჩამოყალიბება [191]. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით აღნიშნული ბაქტერიის მაღალი პრევალენტობა დადებითი კორელაციით პროჟექტრონის მაღალ დონესთან აღინიშნებოდა ორსულობის პირველ ტრიმესტრში და დაკავშირებული იყო ორსულთა გინგივიტთან [116].

Aggregatibacter actinomycetemcomitans (Aa) არის გრამუარყოფითი, მწვავე, ნელა გამრავლებადი, მაგრამ სწრაფი მოქმედების პირის ღრუს პაროდონტოპათოგენი, რომელიც მიეკუთვნება HACEK ჯგუფს. ხასიათდება ადამიანის პირის ღრუში კოლონიზაციით, აქვს უნარი შეინიღბოს მასპინძლის ლორწოვანის იმუნური სისტემის უჯრედებში, დათრგუნოს მათი პირველადი რეაქცია, რითაც ხელს უწყობს პარტნიორების რაოდენობრივ ზრდას და მონაწილეობს დაავადების პათოგენეზში. აღნიშნული ფაქტები ეფუძნება კლინიკურ დაკვირვებას მოლეკულური და ინტერვენციული კვლევებით. ამრიგად, Aa არის გამომწვევი არასრულწლოვანთა პაროდონტიტის, რომელიც ხასიათდება სწრაფი პროგრესირებით და შესაბამისად კბილების ინტენსიურ დაკარგვით [52, 108, 171].

პაროდონტული პათოგენების კოლონიზაციის მაჩვენებელი თანაბარია ქალებსა და მამაკაცებში. თუმცა, ქალებს გააჩნიათ უფრო მაღალი რისკი პაროდონტიტის განვითარების და ძირითადი გამომწვევია *P. Gingivalis*, ხოლო მამაკაცებში: *P. gingivalis*, *P. intermedia*, *T. forsythensis* and *T. Denticola*. , მაგრამ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება *T. Forsythensis* არსებობისას [191].

სწავლად პროგრესირებადი პაროდონტიტის უფრო ხშირად აღინიშნება 30 წლის ქვემოთ პაციენტებში და ახასიათებს დესტრუქციული ცვლილებების სწრაფი

განვითარება, ოჯახური შემთხვევები იშვიათია. მორფოლოგიურად დამახასიათებელია პლაზმურუჯრედული ანთებითი ინფილტრაცია, შემაერთებელ ქსოვილში ნეიტროფილების დომინირება და ფიბრინული ნადებების არსებობა [86]. კლასტერებზე გამოიყო AA სეროტიპული B შტამები, რომლებიც მიეკუთვნებიან სპეციფიკურ JP2 კლონს, რომელიც კლავს ადამიანის იმუნურ უჯრედებს. AA- ს JP2 კლონი მჭიდროდ არის დაკავშირებული პაროდონტიტის სწრაფად პროგრესირებად ფორმებთან [171].

ლაბორატორიული კვლევების მიხედვით დადგენილია პაროდონტოპათოგენების არსებობა არამარტო ნერწყვში და სუბგინგივალურ სივრცეში, არამედ პლაცენტაში [183]. აღნიშნულიდან გამომდინარე, პაროდონტოპათოგენები გავლენას ახდენენ არამარტო პირის ღრუზე, არამედ ჩანასახზე და ზოგადად ორგანიზმზე [99]. არსებობს მრავალი კვლევა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია კორელაციის არსებობა პაროდონტიტსა და კიბოს შორის [41].

1.10. თანკბილვის კლინიკური სურათი პაროდონტიტის დროს.

პირის ღრუს ფიზიოლოგიური მდგომარეობის დროს კბილების სწორი პოზიცია და სიგრძივი ღერძის ინკლინაცია განპირობებულია: ჯანმრთელი პერიოდონტით, ანთებითი პროცესის კონტროლით, ღრძილოვანი კიდის მდგომარეობით და კბილების დინამიური წონასწორობით [91], მაგრამ პათოლოგიის დროს პაროდონტის ანთებითი დაავადების შედეგად ადგილი აქვს ალვეოლურ-ძვლოვანი ქსოვილის დესტრუქციას, ძვლოვანი ქსოვილის საყრდენი ფუნქციის შესუსტებას, ირღვევა დინამიური წონასწორობა და კბილზე მომქმედი ძალები ხდება ტრავმული. კბილებზე მომქმედ ტრავმულ ძალებად განიხილება რბილი ქსოვილების ზემოქმედება: ტუჩები, ენა, ლოყები და კუნთოვანი სისტემა, რომლებიც ხდებიან კბილების პათოლოგიური მიგრაციის მიზეზი [109].

კერძოდ, ნორმალური ოკლუზიური დატვირთვა იძენს ტრავმულ ხასიათს, ადგილი აქვს კბილის მიმაგრების დაკარგვას პაროდონტის ქსოვილში და კბილების პათოლოგიურ გადაადგილებას [91]. ამრიგად, კბილები „ირჩევენ,, ახალ პოზიციას, დროებით ადაპტაციას ანუ ოკლუზიურ კომპენსაციას. თანკბილვის დროებითი ადაპტაცია კბილების პათოლოგიური მოძრაობის ფონზე ვერ უზრუნველყოფს

თანკბილვის შემდგომ სტაბილიზაციას და ყალიბდება ტრავმული თანკბილვა [73, 139].

ზრდასრულ პაციენტებს პაროდონტიტის დიაგნოზით აღენიშნებათ შემდეგი სახის ცვლილებები: დისჰარმონია ზედა და ქვედა ფრონტალურ კბილებს შორის, ფრონტალური კბილების ვესტიბულური დახრა და მარაოსებრი გაშლა, „შავი სამკუთხედების“ არსებობა - კბილთაშორისი პაპილარული ღრძილის სიმაღლის დადაბლებიდან გამომდინარე [68], პათოლოგიური მიგრაცია, ცალკეული კბილების ექსტრუზიულ-პროტრუსიული გადაადგილება, გამოხატული დიასთემა და ტრემები (დიასთემა, რომელიც არ არსებობდა და გაჩნდა ან არსებობდა და ზომაში მოიმატა), თანკბილვის სიმაღლის შემცირება - გვერდითი კბილების დაკარგვის შედეგად ფრონტალური კბილები ღრმად გადმოკბილავენ ანტაგონისტებს [185], მოლარების მედიალური დახრა მეზობელი კბილების დაკარგვის შედეგად, ცვლილებები საფეთქელ-ქვედა ყბის სახსარში, ფუნქციური, ესთეტიური და მეტყველების დარღვევები [29].

პაროდონტიტის მძიმე ფორმის მქონე პაციენტებში განსაკუთრებულ მღელვარებას იწვევს ფრონტალური კბილების ესთეტიური და ფუნქციური მდგომარეობა [91], რაც უმეტესს შემთხვევაში ვლინდება ზედა ცენტრალური კბილების ექსტრუზიით, რაც გამოწვეულია პაროდონტულ ჯიბეებში წარმოქმნილი წნევით [145].

პაროდონტის დაავადებათა გამომწვევი ადგილობრივი ფაქტორებიდან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყბა-კბილთა სისტემის ანომალიებს. თანკბილვის და ცალკეულ კბილთა ანომალიები განაპირობებს პაროდონტის გადატვირთვას, რაც ხელს უწყობს მის ქსოვილებში პათოლოგიური პროცესების წარმოშობას და განვითარებას. პაროდონტიტის დროს კბილების პათოლოგიური მიგრაცია (PTM) საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა პაციენტებში და გამოწვეულია სხვადასხვა ეტიოლოგიური ფაქტორით: ალვეოლური ძვლოვანი ქსოვილის დესტრუქციით, კბილის პერიოდონტული მიმაგრების დაკარგვით და ტრავმული ოკლუზიური ძალებით [29, 109].

ოკლუზიური ძალები არ არის უმუალოდ პაროდონტიტის განვითარების მიზეზი, მაგრამ იწვევენ ცვლილებებს პაროდონტის შემაერთებელ ქსოვილში და

ალვეოლურ ძვალში [91]. კერძოდ, ასუსტებენ კბილის მიმაგრებას პაროდონტის ქსოვილში, რაც გავლენას ახდენს კბილების მოძრაობაზე [187].

კბილების პათოლოგიური მიგრაცია არის პაროდონტიტის საშუალო და მძიმე ფორმის გართულება [91]. იგი დამოკიდებულია პაროდონტის ქსოვილთა დესტრუქციის ხარისხზე და ცალკეულ კბილზე მომქმედ პათოლოგიურ ძალებზე [187].

როგორც წესი, ქრონიკული ინფექცია ხელსაყრელ გარემო პირობებში, როდესაც პირის ღრუში დაქვეითებულია ადგილობრივი იმუნიტეტი და არამარტო პირის ღრუში არ შემოიფარგლება მხოლოდ ლოკალური მიმდინარეობით და იძენს ფართო ხასიათს. როდესაც აღინიშნება იმუნოგლობულინ A დეფიციტი და ლიზოციმის აქტივობა შემცირებულია, დაავადების პროგრესირების პარალელურად პაროდონტულ ჯიბეებში მატულობს პათოლოგიური მიკროორგანიზმების ტოქსინები და დესტრუქციული პროდუქტები რაოდენობრივად, რაც მარტივად ცირკულირდება სისხლში და [131] მათი ვირულენტობიდან გამომდინარე გავლენას ახდენს ორგანიზმზე და ვლინდება სისტემურ პათოლოგიებში [20,124, 132].

1.11. კავშირი პაროდონტიტს და ზოგად-სომატურ დაავადებებს შორის.

პაროდონტოპათოგენები მავნედ ზემოქმედებენ არამარტო პირის ღრუში, არამედ ზოგადად ორგანიზმზე. არსებობს კავშირი პაროდონტიტს და ზოგად-სომატურ დაავადებებს შორის [67, 99]. ლაბორატორიული კვლევების მიხედვით დადგენილია პაროდონტოპათოგენების არსებობა ნერწყვში, სუბგინგივალურ სივრცეში და პლაცენტაში [183].

ევროპაში გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები ფართოდ არის გავრცელებული (CVD) და აღენიშნება 3,9 მილიონ ადამიანს გულის იშემიური დაავადების, ინსულტის, ჰიპერტენზიის, გულის უკმარისობის სახით და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია (სიკვდილიანობის 45%) [130, 148].

პაროდონტის დაავადებები გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია და 19%-ს შეადგენს. ქრონიკული ინფექცია იწვევს ათეროსკლეროზულ დაზიანებებს, რაც ხდება მიზეზი ლოკალური და სისტემური ანთებითი რეაქციის [124, 131, 137]. რეოპარდოტოგრაფიის მონაცემების მიხედვით

შესაძლებელია დადგინდეს პაროდონტის ქსოვილებში ჰემოდინამიკის ცვლილებები იმ პაციენტებში, რომლებსაც აღნიშნებათ სტენოკარდიული დაავადება და მეტაბოლური პროცესების მნიშვნელოვანი დარღვევა [106, 136, 144, 161].

ზოგიერთი სისტემური დაავადება, როგორცაა შაქრიანი დიაბეტი, თირკმელების ქრონიკული უკმარისობა, შეიძლება გამწვავდეს პაროდონტიტით და პირიქით პაროდონტიტიც შეიძლება გამწვავდეს სხვა ქრონიკული დაავადებებით [20, 145]. არსებობს ბიოლოგიური კავშირი დიაბეტს და პაროდონტიტს შორის და წარმოადგენს დიაბეტის რიგით მეექვსე გართულებას. ტიპი 2 დიაბეტით დაავადებულ პირებში, რომლებსაც აქვთ დაავადების მძიმე ფორმა, 3,2 ჯერ მეტია სიკვდილიანობის მაჩვენებელი [124]. რადგან პაროდონტიტი ითვლება პირის ღრუს ქრონიკულ ინფექციად, შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი იმუნური რეაქცია სისტემურ დონეზე და შეიძლება იყოს ბაქტერიების წყარო. არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც გაუმჯობესდა პაროდონტიტის კლინიკური და იმუნოლოგიური პარამეტრები დიაბეტის დროს გლიკემიის კონტროლის შედეგად [22, 23, 80, 96, 144, 147].

კუჭ-ნაწლავის დაავადებები პაროდონტის დაავადებათა განვითარების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს, ვინაიდან აღნიშნული პათოლოგიები განაპირობებს კალციუმის ცვლის ჰორმონული რეგულაციის დარღვევას როგორც ფარისებრი, ისე პარაფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის ცვლილებების ხარჯზე [83, 160].

სისხლის დაავადებების, კერძოდ ანემიების დროს, აღნიშნება პაროდონტის ქსოვილში დისტროფიული ცვლილებები, მწვავე ლეიკოზით დაავადებულ ბავშვებში - ღრძილის კიდის ჰიპერპლაზია, ხოლო კეთილთვისებიანი ნეიტროპენიის შემთხვევაში - დამახასიათებელია ძვლოვანი ქსოვილის რეზორბცია და ოსტეოპოროზი [144].

კვლევის საფუძველზე დადგენილია პაროდონტის დაავადებების პათოგენეზური კავშირი ნივთიერებათა ცვლის დარღვევებთან. ამ შემთხვევაში ნაგულისხმევია კვების დისბალანსი. ამ კვლევის მიხედვით პაციენტებს პაროდონტიტის ფონზე გააჩნდათ ვიტამინების უკმარისობა, ცხიმოვანი მჟავების და ელემენტების დისბალანსი [145].

ლიტერატურაში აღწერილია ცვლილებები პაროდონტის ქსოვილში, როდესაც ორგანიზმში A,B,C, E ვიტამინების დეფიციტია. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს C ჰიპო- და ავიტამინოზი. არსებობს საკმაოდ დამაჯერებელი მონაცემები, რომ ვიტამინ C-ის დეფიციტის დროს ორგანიზმში ირღვევა კოლაგენურ ბოჭკოთა წარმოქმნისა და ფორმირების პროცესები, ხდება ქსოვილთა გაფაშრება, მატულობს კაპილარებისა და უჯრედშორისი ნივთიერების შეღწევადობა. ამასთანავე, ორგანიზმში მცირდება ძვლოვანი ქსოვილის ფორმირება და ა.შ. [24].

არსებობს კვლევები, რომლის მიხედვითაც პაროდონტიტი კავშირშია ფილტვების მძიმე ქრონიკულ-ობსტრუქციულ (COPD) დაავადებასთან [20], ფილტვის სეპტიურ ემბოლიასთან [180], სუნთქვის დარღვევებთან და პნემონიასთან [53].

კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე, რომელიც ჩატარდა 176 პაციენტზე, დადგინდა პათოგენეტიკური კორელაცია, პაროდონტიტს და ენდოკრინულ დისფუნქციას შორის. კვლევის პროცესში პაციენტებს აღენიშნებოდათ კორტიზოლის დონის შემცირება და ფარისებრი ჯირკვლის თავისუფალი ჰორმონების მატება. განხორციელდა პროქსიდანტული პროცესების განმტკიცება მრავალჯერადი რკინის შემცველობით, რის შედეგად დაგროვდა საშუალო მასის მოლეკულები, შეიცვალა ცილის სპექტრი, ცილების შეყვანის უნარი, შეიცვალა კოლაგენური C- პეპტიდის, ოსტეოკალცინის, Ca, P, Mg შემცველობა. კომპლექსური მკურნალობის ჩატარების შემდეგ დაავადების კლინიკური ნიშნები სწრაფად გაქრა და ბიოქიმიური ცვლილებები ნორმალიზდა [145].

ასევე, ერთ-ერთი კვლევის მიხედვით პაროდონტიტი იწვევს ნევროლოგიურ დაზიანებას. პაროდონტიტის ძირითადი გამომწვევი აგენტის *Porphyromonas gingivalis* ჩანერგვამ თავის სხვა და სხვა მოდელებში აჩვენა, რომ ცოცხალი *P. Gingivalis* არის ძლიერი პერიფერიული ან უჯრედშიდა ანთებითი პროცესის ინიციატორი და ეს პირდაპირ გავლენას ახდენს მეხსიერების დაზიანების განვითარებაზე [159].

ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემებით მსოფლიოს მასშტაბით გაზრდილია დედათა ინფექცია, ნაადრევი მშობიარობის, მცირეწონიან ბავშვთა რიცხვი, პრეეკლამპსია, რაც მათი ავადობის და სიკვდილიანობის მთავარი მიზეზია. თითქმის

ორი ათწლეულია განიხილება პაროდონტის დაავადებების ზეგავლენა ზემოთ აღნიშნულ პროცესებზე და ზემოქმედება ჩანასახის განვითარებაზე [19,124, 131].

ამრიგად, ზოგადი ფაქტორები უდიდეს როლს ასრულებს პაროდონტის ქსოვილებში პათოლოგიური პროცესების წარმოშობასა და განვითარებაში. დადგენილია, რომ საჭმლის მომნელებელი ტრაქტის, ღვიძლის, თირკმელების, ნერვული, გულ-სისხლძარღვთა, ენდოკრინული სისტემის, რევმატიზმული და ალერგიული დაავადებების დროს პაროდონტის ქსოვილებში პათოლოგიური ცვლილებები აღინიშნება ბევრად უფრო ხშირად, ვიდრე ჯანმრთელ ბავშვებში [115].

ჰიპოთეზის დონეზე უნდა აღინიშნოს პათოლოგიურ-ფუნქციური კავშირი პაროდონტიტსა და ღვიძლის დაზიანებას შორის. ჩატარებული კვლევის შედეგად მსხვილფეხა პირუტყვის ნაყოფის შრატისგან გამოიყო ფეტუინ A (Fetui A), რომელიც წარმოადგენს ღვიძლის სეკრეციულ გლიკოპროტეინს. პარალელურად გამოკვლეულ იქნა 356 საშუალო და ხანდაზმული ასაკის პაციენტი, რომლებსაც აღინიშნებოდათ სხვა და სხვა სტადიის პაროდონტიტი და ფეტუინ A-ს დონე ჰქონდათ მნიშვნელოვნად დაბალი, იმათთან შედარებით ვისაც არ აღინიშნებოდა პაროდონტიტი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შესაძლოა არსებობდეს კავშირი შრატში ფეტუინ A-ს დაბალ დონესა და პაროდონტის დაავადებას შორის. ამრიგად, შესაძლოა მას პაროდონტიტის მარკერიც ეწოდოს [56].

დადგენილია პოპულაციაში პაროდონტიტით დაავადების მაღალი რისკ-ჯგუფები. ესენია თამბაქოს მოხმარება, პირის ღრუს ჰიგიენა, მედიკამენტები, ასაკი და სტრესი [124, 132, 145].

პაროდონტიტის არსებობა პაციენტებში 10 წლიანი ანამნეზით ალცჰეიმერის დაავადების განვითარების ორჯერადი რისკ-ფაქტორია [128, 129]. ასევე პაროდონტიტი ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია, თირკმელების ქრონიკული დაავადების, მეტაბოლური სინდრომის [53] და ათობით სხვა სერიოზული დაავადების [161]. არსებობს ჰიპოთეზა დემენციასა და პაროდონტიტს შორის კავშირის შესახებ - [151].

ერთ-ერთი სისტემური მიმოხილვის საფუძველზე, არსებობს კავშირი პაროდონტიტის და კიბოს შორის [41]. კერძოდ, პაციენტებში პაროდონტიტის დიაგნოზით მეტი რისკია პირის ღრუს, ფილტვების, პანკრეასის კიბოს განვითარების [120]. ქალებს, რომლებსაც აღინიშნებათ პაროდონტიტი, ორი-სამჯერ

მეტად უვითარდებათ ძუძუს კიბო [153].

ეპიდემიოლოგიური და კიბოს კონტროლის კვლევებზე დაყრდნობით არსებობს კავშირი პაროდონტის დაავადებებსა და კიბოს სპეციფიკურ ტიპებს შორის. აღნიშნულ ჰიპოთეზას საფუძვლად უდევს პაროდონტოლოგიის ევროპული ფედერაციის და პაროდონტოლოგიის ამერიკული აკადემიის მიერ ჩატარებული ერთობლივი კვლევები (European Federation of Periodontology/American Academy of Periodontology Workshop on “Periodontitis and Systemic Diseases” in November 2012). მიღებული შედეგები გამოქვეყნდა 2012 წლის ნოემბერში სემინარზე „პერიოდონტიტი და სისტემური დაავადებები 2012“ [127,138].

1.12. პაროდონტის დაავადებების გავრცელება.

ეპიდემიოლოგიური კვლევა დროის გარკვეულ ინტერვალში საშუალებას იძლევა აღირიცხოს მოსახლეობაში გავრცელებული დაავადებები, მათ შორის სტომატოლოგიური დაავადებებიც. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს არსებული სიტუაციის შეფასებას, დაავადებების გამოვლენას და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას [77].

ეპიდემიოლოგიური კვლევების მიხედვით პაროდონტის დაავადებების გავრცელება საკმაოდ მაღალია მსოფლიოს მასშტაბით [6, 49, 159, 192].

1990-2017 წლებში ჩატარებული საერთო კვლევების ანალიზის მიხედვით სქესის, ასაკის და ქვეყნების გათვალისწინებით, გლობალურ დონეზე 796 მილიონ ადამიანს აღენიშნებოდა პაროდონტიტი [65]. ასევე ერთ-ერთი სტატისტიკური კვლევის მიხედვით 1990-2010 წლებში პაროდონტიტის გავრცელებამ მოიმატა 57,35 %-ით.

პაროდონტიტი გავრცელებულია როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში [124, 125] და მოიცავს მთელ სოციალურ-ეკონომიკურ კლასებს [135]. კბილების სრული დაკარგვის მაღალი პრევალენტობა აღინიშნება საშუალო ან დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. მაღალშემოსავლიან ქვეყნებში სრული ედენტულიზმის დაბალი მაჩვენებელი აღინიშნება [135]. დაბალშემოსავლიანობისა და განათლების დონეს ასევე უკავშირდება პაროდონტიტის მძიმე ფორმების არსებობა [62].

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით (WHO) 10-15% დაავადებულია მძიმე ფორმის პაროდონტიტით [57,135], ხოლო მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობას ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში აღინიშნება პაროდონტის დაავადების სხვადასხვა ფორმა, განსხვავებული სიმძიმით და ხარისხით [93]. დაავადება გავრცელებულია ყველა ასაკობრივ ჯგუფში, მაგრამ ძირითადად აღინიშნება ზრდასრულ და ხანდაზმულ მოსახლეობაში. თუმცა პაროდონტიტის მძიმე ფორმა შეიძლება განვითარდეს მოზარდებშიც [34, 93].

2009 წელს გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა 9 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის 9% -ში მინიმუმ ერთი პაროდონტალური ჯიბე 6 მმ ან მეტი სიღრმის [57]. აღნიშნული დაავადების მაღალი პრევალენტობა მოზარდებში, მოზრდილებში და ხანდაზმული ასაკის პირებში მას პირის ღრუს ყველაზე გავრცელებულ დაავადებად აქცევს. მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 50%-ში აღინიშნება გინგივიტი, ხოლო 80% -ში პაროდონტის დაავადების რომელიმე ფორმა [62, 87,189].

2010 წელს მძიმე ფორმის პაროდონტიტი იკავებდა მეექვსე ადგილს ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს შორის მსოფლიოში და აღინიშნებოდა 743 მილიონ ადამიანს 15-99 წლის ასაკში [57].

At Harvard School of Dental Medicine -ის მონაცემებით პაროდონტიტის გავრცელების საერთო მაჩვენებელი არის 55.5% ($\pm 1.4\%$), აქედან 20.7% ($\pm 1.2\%$) საშუალო ფორმის, ხოლო 2.8% ($\pm 0.5\%$) მოდის მძიმე ფორმის პაროდონტიტზე [21,74]. აშშ-ს ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი დაავადებულია პაროდონტიტით [92]. მსოფლიოს ზრდასრული მოსახლეობის 80%-ში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მინიმუმ ერთი კბილის დაკარგვას [132].

არსებული კვლევების მიხედვით, მსოფლიოში მძიმე ფორმის პაროდონტიტის გავრცელება მნიშვნელოვნად განსხვავდება. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აღინიშნება აფრიკაში (4.2%, 95% CI 2.0-7.1) და სამხრეთ ამერიკაში (4.0%, 95% CI 0.9-9.1) ევროპასთან შედარებით (0.1%, 95% CI 0.1-0.2), ხოლო დაბალი მაჩვენებელი აღინიშნება აზიაში (1.2%, 95% CI 0.5-2.2) და ჩრდილოეთ ამერიკაში (0.8%, 95% CI 0.4-1.4) [26]. საქართველოში არაჯანსაღი პაროდონტის ქსოვილები აღინიშნება მამაკაცების 66.9% - ს და ქალების 57.5% -ს [174].

მზარდია სოციალურ-ეკონომიკური ტვირთი მსოფლიოს მასშტაბით. ამერიკაში პირის ღრუს დაავადებების მკურნალობის წლიური ღირებულება 442 მილიონი აშშ დოლარია, აქედან 54 მილიონი აშშ დოლარი მოდის პაროდონტის დაავადებების მკურნალობაზე. მოსახლეობის ზრდის ტენდენციები, რისკ-ფაქტორების ცვლილებები, ტექნოლოგიური სიახლეები, მკურნალობის დახვეწილი მეთოდები და ა.შ. დიდ გავლენას ახდენს ჯანდაცვის ეკონომიკაზე [169].

პაროდონტიტი განიხილება, როგორც კბილების დაკარგვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მსოფლიოში და ასოცირდება, როგორც მაღალი გლობალური ტვირთი სამკურნალო და საპროფილაქტიკო ხარჯების თვალსაზრისით [75].

1.13. პაროდონტის დაავადებების მკურნალობა.

პაროდონტის დაავადებების მკურნალობის შედეგი დამოკიდებულია დაავადების მიმდინარეობაზე, ეტაპზე, ხარისხზე, დამხმარე ფაქტორების არსებობაზე, დაავადების მკურნალობასა და მართვაზე. რაც უფრო შორსწასულია პროცესი და სწრაფად პროგრესირდება ნიშნები, მით უფრო სავალალოა მკურნალობის შედეგი [62].

პაროდონტიტის მკურნალობა მიზნად ისახავს დაავადების შემდგომი პროგრესირების თავიდან აცილებას, კბილების დაკარგვის რისკის შემცირებას, დაავადების სიმპტომების შემცირებას, დაკარგული პაროდონტის ქსოვილების აღდგენას, ჯანსაღი პაროდონტის ქსოვილის შენარჩუნებას [69].

1.14. ორთოდონტიული მკურნალობის ჩვენება პაროდონტიტის დროს.

პაროდონტიტის მძიმე ფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება არის კბილების პათოლოგიური მიგრაცია, რაც გამოწვეულია იმ ძალების დესტრუქციით, რომლებიც კბილებს ნორმალურ პოზიციაში ინარჩუნებენ. ძვლის თანდათანობითი დაკარგვა პათოლოგიური მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი ეტიოლოგიური ფაქტორია. პათოლოგიური მიგრაციის შედეგად აღინიშნება ოკლუზიური და ესთეტიური ცვლილებები, რაც პირდაპირ კავშირშია პაციენტების თვითშეფასების დაქვეითებასთან. აქედან გამომდინარე, მკურნალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ესთეტიკის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს კომპლექსურ

მკურნალობას ორთოდონტიის მონაწილეობით [91, 97].

კლინიკურ კვლევებზე დაყრდნობით, არსებობს შეხედულება, რომ ორთოდონტიული მკურნალობა აუმჯობესებს ან ამძიმებს პაროდონტის სტატუსს [185].

Boyer-ის და სხვების შეხედულებით ორთოდონტიულ მკურნალობას არ აქვს ჩვენება პაროდონტიტის კომპლექსურ მკურნალობაში, რადგან მკურნალობის შემდგომი შედეგი მხოლოდ პაროდონტოლოგიური არაქირურგიული ან ქირურგიული თერაპიის შემდეგაც იდენტიურია ძვლოვანი ქსოვილის რეგენერაციის კუთხით [35, 97, 155].

თუმცა, ორთოდონტიული მკურნალობის უპირატესობა ესთეტიური მნიშვნელობის გაუმჯობესებაა, ოკლუზიური ტრავმის შემცირება და კბილთა დგომის კორექციის ხარჯზე კბილის ზედაპირზე ნადების რაოდენობის შემცირება და, შესაბამისად, პაციენტს საშუალება ეძლევა უკეთ შეასრულოს კბილების წმენდის ტექნიკა სახლის პირობებში. მკურნალობის ორთოდონტიულ ფაზაში ორი მნიშვნელოვანი საკითხია გასათვალისწინებელი - ძალების სწორი და ფრთხილი გადანაწილება. პაროდონტიტის წარმატებული კომპლექსური მკურნალობის შედეგად მიიღწევა დამაკმაყოფილებელი ესთეტიური, ოკლუზიური და ფუნქციური შედეგი [35, 97, 155]. ასევე, ხელი შეუწყოს კბილთა რესტავრაციას, გაჩენილი სივრცეების დახურვას. ხშირ შემთხვევაში მკურნალობას შეუძლია გარკვეული პრობლემების გამოსწორება, ან პროცესის მიმდინარეობის შეჩერება [35, 155].

პაროდონტის დაავადებების კომპლექსურ მკურნალობაში მნიშვნელოვანია ორთოდონტიის და პაროდონტოლოგის ურთიერთშეთანხმებული მოქმედება ორთოდონტიული მკურნალობა გამოიყენება, როგორც დამხმარე საშუალება, უამრავ სხვა საშუალებებთან ერთად [3].

ნებისმიერი სახის სტომატოლოგიური მკურნალობისთვის აუცილებელია პაროდონტული ჯანმრთელობა და, შესაბამისად, პაროდონტის დაავადებების ორთოდონტიულ მკურნალობას გააჩნია პრეორთოდონტიული ფაზა, რაც გულისხმობს საწყის ეტაპზე შემდეგი მაჩვენებლების განსაზღვრას: პაროდონტის ინდექსი (PI), ღრძილის ინდექსი (GI), სისხლდენის ხარისხი (BOP) და პათოლოგიური ჯიბის სიღრმე (PPD), რაც მეორდება ყოველ სამ თვეში [35]. ე.ი.

ორთოდონტიული მკურნალობა ნებადართულია, როდესაც პრეორთოდონტიული ღონისძიებების შედეგად მიიღწევა ანთებითი პროცესის კუპირება და პაროდონტული ჯიბის სიღრმის შემცირება [3,8].

ამავდროულად, ორთოდონტიულ მკურნალობას შეიძლება ეწოდოს ორმხრივი ხმალი [155], რადგან ერთი მხრივ კლინიკურ კვლევებზე დაყრდნობით პაროდონტის აპარატი, რომელშიც შედის ძვალი, პერიოდონტული იოგი და დამხმარე ქსოვილები, აღდგება ორთოდონტიული ზემოქმედების შედეგად [3] და მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს პაროდონტის კლინიკური მიმაგრების დონეზე [133]. პაროდონტიტის მქონე ზრდასრული პაციენტების ორთოდონტიული მკურნალობის დროს არ გვხვდება ატიპიური ფესვთა რეზორბცია [186]. ხოლო მეორე მხრივ გააჩნია გარკვეული გვერდითი მოვლენა, როგორცაა ფესვის რეზორბცია, კბილებზე თეთრი ლაქების განვითარება, ალვეოლური ძვლის და პაროდონტის მიმაგრების დაკარგვა და პაროდონტის დაავადების აქტიურ ფაზაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს პაროდონტის სტატუსის გაუარესებას. ორთოდონტიული მკურნალობის დროს ბრეკეტ სისტემის არსებობა პირის ღრუში აუარესებს პირის ღრუს ჰიგიენას, ბრეკეტები ამცირებს ენის, ლოყების და ნერწყვის ფიზიოლოგიური წმენდის ფუნქციას [35], გროვდება ნადები კბილთა ზედაპირზე და შესაბამისად ადგილი აქვს ანთებითი პროცესის განვითარებას, იზრდება პათოლოგიური ჯიბის სიღრმე და აღინიშნება სისხლდენა [8, 14, 133]. ხშირ შემთხვევებში აღნიშნული პროცესები გამოწვეულია პაციენტების დაუდევრობით და ინფორმაციის სიმცირით.

პაროდონტული ჯანმრთელობის შესახებ. ასეთ სიტუაციაში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პაციენტების ინფორმირება, მოტივაცია და ურთიერთთანამშრომლობა [9].

პრევენციული ღონისძიებების გატარება აუცილებელია მთელს მსოფლიოში ზოგად-სომატური დაავადებების რისკების და რიცხვის შესამცირებლად. გარკვეული წვლილის შეტანა სტომატოლოგიის მხრიდან დიდი გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და მის შენარჩუნებაზე [131].

პრევენციული ღონისძიებები გულისხმობს ყოველდღიურ ჰიგიენას სახლის პირობებში და პირის ღრუს პროფესიონალურ წმენდას ექიმის მიერ, რაც თითოეული პაციენტისთვის არის ინდივიდუალური [93]. პროფილაქტიკის მიზნით აუცილებელია მოსახლეობის, განსაკუთრებით ორსულთა, სათანადო განათლება და

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება ყოველდღიურ ცხოვრებაში [131].

პაროდონტოლოგიური მკურნალობა აუმჯობესებს სისხლში შაქრის დონეს დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში და ამცირებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების რისკებს [131].

თანამედროვე მედიცინაში მკურნალობის პრინციპი კომპლექსურია [84, 85]. კერძოდ, ნეირობიოლოგია, იმუნოლოგია და პაროდონტული მედიცინა ურთიერთდამოკიდებული დარგებია, რომლებიც კომპლექსურად უზრუნველყოფს პაროდონტიტის და სისტემური დაავადებების მკურნალობას. მათ შორის იგულისხმება ალცჰეიმერის დაავადებაც [152].

ცნობილია, რომ წარმატებული მკურნალობის აუცილებელი პირობაა კომპლექსურობა. პაროდონტიტის მკურნალობა ძალიან ხანგრძლივი და რთული პროცესია, რაც გულისხმობს სტომატოლოგთა გუნდის ერთობლივ ძალისხმევას (პაროდონტოლოგი, თერაპევტი, ორთოდონტი და სხვა) [187].

პაროდონტიტის მკურნალობაში აუცილებელია დროული დიაგნოსტიკა, ხოლო ჩვენების შემთხვევაში ქირურგიულ-პაროდონტოლოგიური ჩარევა [97, 171].

დაავადების პრევენცია გულისხმობს გარკვეული დროის მონაკვეთში ვიზიტს პაროდონტოლოგთან და პერიოდულ შემოწმებას. პაროდონტული ჯიბის სიღრმე (PD), კლინიკური მიმაგრების დონე (CAL), ღრძილის ინდექსი (GI), ალვეოლური ძვლის სიმადლე (RBH%), სისხლდენის ხარისხი (BOP) და აპკის დონის (PI) პერიოდული შემოწმება გვაძლევს დაავადების დროული გამოვლენის საშუალებას [128]. ასევე უმნიშვნელოვანესია პაროდონტული იოგების AA- ს JP2 დანაკარგის დროული აღმოჩენა მიკრობების სადიაგნოსტიკო ტესტირებით [48, 171].

ორთოდონტია ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტია პაროდონტიტის კომპლექსურ მკურნალობაში და ითვალისწინებს იმ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სისტემურ დარღვევებთან. ორთოდონტიულმა მკურნალობამ შეიძლება გამოიწვიოს გინგივიტი, განვითარდეს ანთებითი რეაქცია და იშვიათ შემთხვევაში გართულდეს პაროდონტიტით [145].

მთელ მსოფლიოში ორთოდონტიამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა და გახდა პირდაპირი ჩვენება პაროდონტიტის კომპლექსურ მკურნალობაში [97].

არსებობს მონაცემები ერთერთი კვლევის, რომელიც ემყარება 24 პაციენტის გამოკვლევას, რომლებსაც აღენიშნებოდათ პაროდონტიტი და ჩაუტარდათ კომბინირებული, ორთოდონტიულ-პაროდონტოლოგიური მკურნალობა. მკურნალობის დასრულების შემდეგ ჩატარდა ანალიზი პაროდონტული ჯიბის სიღრმის და ალვეოლური ძვლის სიმაღლის შეფასებით და დადგინდა, რომ ორთოდონტიული მკურნალობის შემდეგ ცვლილებები არ გამოვლინდა. პაროდონტოლოგიური სტაბილურობის მიღება შესაძლებელია ორთოდონტიული მკურნალობის შემდეგ IV/კლასის C პაროდონტიტის მქონე პაციენტებისთვის [48, 97].

აუცილებელია ორთოდონტიულ მკურნალობას წინ უძღვოდეს პაროდონტოლოგიური თერაპია [85], რაც გულისხმობს პირის ღრუს პროფესიულ ჰიგიენას, ინდივიდუალური მანუალური ჩვევების გამომუშავებას, თერაპიულ მკურნალობას, პაროდონტოლოგიურ-ანთების საწინააღმდეგო მკურნალობას და საჭიროებისას ქირურგიულ პაროდონტოლოგიას [97].

LUHS კლინიკის მონაცემებით პაროდონტიტის მკურნალობის დროს ორთოდონტიული მკურნალობის სავარაუდო საჭიროება 56,3 პროცენტია [105].

ორთოდონტიული მკურნალობის შედეგად ადგილი აქვს კბილების, კბილთა რკალების, თანკბილვის და ყბათაშორისი შეთანასოვნების კორექციას, ნორმალიზდება ღრძილების არქიტექტურა, სწორდება ტუჩების პოზიცია, აღდგება პერიოდონტული ჯანმრთელობა და ადგილი აქვს ალვეოლურ-ძვლოვანი ქსოვილის რეგენერაციას დეფექტის მიდამოში [87].

კერძოდ, დაჭიმვის ზონაში ორთოდონტული ძალა, როგორც სტიმული, იწვევს ფიბრობლასტების და ოსტეობლასტების მიგრაციას, კბილების გადაადგილებას დეფექტის მიმართულებით [163], ასტიმულირებს ახალი მიმაგრების წარმოქმნას და შესაბამისად იწვევს ალვეოლური ძვლის წარმოქმნას [87, 185] რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ორთოდონტიული მკურნალობის შედეგად სწორდება სახის ესთეტიკა და უჯობესდება მეტყველება [84], შესაბამისად ადგილი აქვს პაციენტების თვითშეფასების დონის ამაღლებას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას [97, 145].

1.15. პაროდონტის დაავადებების განვითარების პრევენცია.

ჯანმრთელი პირის ღრუს მართვა იწყება ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე პედიატრის აქტიური ჩართულობით [192]. პირველადი ორთოდონტიული

კონსულტაცია ჩვეულებრივ რეკომენდებულია 7 წლის ასაკიდან. თუმცა, ამ ასაკამდე მნიშვნელოვანია პრეორთოდონტიული კონსულტაცია, რადგან დისმორფული ცვლილებები, რომლებიც იწვევენ თანკბილვის ანომალიებს, ვლინდება გაცილებით ადრე [47].

1960-იანი წლებიდან საზოგადოებრივი ჯადაცვის პოლიტიკის გატარებამ, კერძოდ, პირის ღრუს ჯანმრთელობის ხელშეწყობამ, დაავადებათა პრევენციამ რისკ-ფაქტორთა საერთო მიდგომებზე დაყრდნობით, სკოლის მოსწავლეთა მომსახურების შემოღებამ გააუმჯობესა მათი პირის ღრუს მდგომარეობა [50, 135]. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა და მიღებული ღონისძიებებისა, მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი კიდევ განიცდის კბილების დანაკარგს, რომელიც გამოწვეულია კარიესით და პაროდონტის დაავადებებით [57]. აღნიშნული ფაქტები ადასტურებს უფრო აქტიური და თანმიმდევრული ღონისძიებების საჭიროებას, პრევენციული, დიაგნოსტიკური და თერაპიული სტრატეგიების სახით, კონკრეტული ეროვნული სცენარის განხილვას, სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მართვას [169].

გამოიკვეთა საზოგადოებრივი ჩართულობა, პედაგოგთა და პროფესიონალი ორგანიზაციების მიერ გატარებული ღონისძიებები პროფილაქტიკის, დროული გამოვლენის და მოვლის სფეროში. აღნიშნული ქმედებები აერთიანებს საზოგადოებრივ ინტერესს და ცოდნას, ინდივიდუალური მოვლის აუცილებლობას, საჭიროებისას პროფესიულ ჩარევას და სტრატეგიის მიღებას სარწმუნო სამეცნიერო მტკიცებულებამდე, რადგან ხელი შეეწყოს პაროდონტალურ ჯანმრთელობას, ეფექტურ მართვას პაროდონტის დაავადებების შემთხვევაში ჯანმოს პრიორიტეტების და სტრატეგიების შესაბამისად [169].

სამედიცინო და სოციალური თვალსაზრისით სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება სამკურნალო ღონისძიებებთან შედარებით. სტომატოლოგიური პათოლოგიური პროცესების პროფილაქტიკასა და მკურნალობაში იკვეთება ვიტამინების ზემოქმედება [30] და სტატინების მრავალფეროვანი სასარგებლო ეფექტი. ძვლის მეტაბოლიზმის, ანტიმიკრობული, ანტივირუსული და ფუნგიოციდური თვისებების არსებობა სტატინებში ავლენს მის ახალ, უსაფრთხო და ფართოდ ხელმისაწვდომ როლს პაროდონტის დაავადებების მკურნალობის და ზოგადად პირის ღრუს ჯანმრთელობის საქმეში [149, 164].

თავი II

კვლევის მასალა და მეთოდები

2.1. ჩატარებული კვლევის ზოგადი მიმოხილვა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სამეგრელოს რეგიონის ქალაქ სენაკის მოსახლეობის სტომატოლოგიური სტატუსის შეფასება, რომლის მოსახლეობა 2014 წლის მონაცემებით შეადგენდა 21596 მოსახლეს.

საკვლევი არეალის შერჩევა მოხდა მიზანმიმართულად, რადგან კვლევების უმეტესობა ტარდება დედაქალაქში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეგიონებში, დედაქალაქთან შედარებით, ნაკლებად არის განვითარებული სტომატოლოგიის სფერო, რაც შეიძლება აიხსნას დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით, დაბალი სამედიცინო განათლებით, სტომატოლოგიური მომსახურების შეზღუდული ხელმისაწვდომობით, პირის ღრუს მოვლისადმი უარყოფითი განწყობით და სხვ.

კვლევის ტიპი არის გამოკვლევულ პოპულაციაში აღნიშნული დაავადებების გავრცელების სიხშირული ანალიზი. გამოსაკვლევი პაციენტების რაოდენობის დასადგენად საკვლევი ფაქტორების მოსალოდნელი გავრცელება შეფასდა ყველაზე მკაცრი კრიტერიუმით 50%-ით, სარწმუნოების დონე 95% და სასურველი (სარწმუნო) კონფიდენს ინტერვალი სრული სიფართობით 4% ან $\pm 2\%$. გამოთვლის შემდეგ დადგინდა, რომ გამოკვლევულ უნდა იქნას მინიმუმ 2449 ადამიანი. მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებულ იქნა სტატისტიკური პაკეტი SPSS მეთოდი.

2.2. ჩატარებული კვლევის სტატისტიკური ნაწილი.

სტომატოლოგიურ კლინიკაში მოწვეულ იქნა 2487 პაციენტი, 15 წლის ზევით ყველა ასაკობრივი ჯგუფიდან, ახალგაზრდების სიჭარბით, რომლებიც განაწილებულ იქნა სქესის მიხედვით ორ ჯგუფად ქალი 1413 (56,8%) და კაცი 1074 (43,2%) და ხუთ ასაკობრივ ჯგუფად: 15-24, 25-34, 35-44, 45-64 და 65-74. ორი ასაკობრივი ჯგუფი შეირჩა (35-44, 65-74) ჯანმო-ს რეკომენდაციის საფუძველზე „სტომატოლოგიური გამოკვლევის ძირითადი მეთოდების“ მეხუთე გამოცემიდან, რომელსაც ჩვენს მიერ დაემატა სამი ასაკობრივი ჯგუფი.

კვლევა განხორციელდა პრაქტიკოსი ექიმ-ორთოდონტის და ორი ასისტენტის მიერ, რომლებიც აწარმოებდნენ კვლევაში ჩართული პაციენტების დეტალურ გამოკითხვას, წერილობითი თანხმობის უზრუნველყოფას და მათ მიერ კითხვარის შევსებას. დამხმარე პირები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი კვლევის მიზნების, ამოცანების და მიმდინარეობის შესახებ და ისინი ახორციელებდნენ მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას.

ჯანმო-ს რეკომენდაციის საფუძველზე კლინიკაში მოწვეულმა პაციენტებმა შეავსეს კითხვარი, რომელიც მოიცავდა კითხვებს გენეტიკურ წინასწარგანწყობასთან, თამბაქოს მოხმარებასთან, კბილების პროფესიული წმენდის სიხშირესთან დაკავშირებით და ა.შ.

აღნიშნულ პაციენტებს ჩაუტარდათ კლინიკური კვლევა პირშიგნითა და პირგარეთა დათვალიერების გზით და შეუფასდათ თანკბილვის ტიპი და პაროდონტის სტატუსი.

თანკბილვის ტიპი შეფასდა საგიტალურ, ვერტიკალურ და ტრანვერზალურ სიბრტყეში. კერძოდ, თანკბილვის I კლასი, II კლასი, III კლასი, ღია, ღრმა, ჯვარედინი და პირდაპირი. საგიტალური სიბრტყის ანომალიები შეფასდა ენგლეს კლასების - პირველი მუდმივი მოლარების შეთანასოვნების მიხედვით. აღნიშნული კბილების არარსებობის შემთხვევაში თანკბილვა შეფასდა მესამე მუდმივი კბილების ანუ ემვების შეთანასოვნების მიხედვით. პირდაპირი ტრავმული თანკბილვა გამოიყო ცაკლე ჯგუფად, რადგან ამ შემთხვევაში პირველი მუდმივი მოლარების შეთანასოვნება იყო ენგლეს I კლასი. თანკბილვის კომბინირებული, ანუ რამოდენიმე თანკბილვის ანომალიის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში ანკეტებში აღინიშნა წამყვანი ანომალია.

პაროდონტის სტატუსი შეფასდა პაროდონტის ინდექსების გამოყენებით (PSI): 1) ნადების ინდექსი-ხილული ნადების არსებობა კბილის ნებისმიერ ზედაპირზე, 2) ქვის ინდექსი, 3) პაროდონტალური ჯიბეების სიღრმე, 4) კბილების მორყევის ხარისხი, 5) სისხლდენის ხარისხი.

პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობა შეფასდა გრინ-ვერმილიონის მიხედვით. კბილებზე არსებული ნადების და ქვების არსებობა განისაზღვრა დათვალიერების გზით სტომატოლოგიური სარკის გამოყენებით და ზოგიერთ შემთხვევაში დასაღეჭი

აბების საშუალებით. დადგინდა პირის ღრუს ჰიგიენის ოთხი დონე: კარგი, დამაკმაყოფილებელი, არადამაკმაყოფილებელი და ცუდი.

პაროდონტული ჯიბეების სიღრმე გაიზომა პაროდონტალური ზონდით, შემდეგი კბილების მიდამოში 16,21,24,36,41,44. დაავადებულად ჩაითვალა პაროდონტი, როდესაც აღინიშნებოდა პათოლოგიური ჯიბე სიღრმით 1 მმ და მეტი. მრავლობითი პათოლოგიური ჯიბის არსებობისას ანკეტაში დაფიქსირდა ყველაზე ღრმა პათოლოგიური ჯიბე.

კბილთა მორყევის ხარისხი შეფასდა პალპაციით. კბილების ვესტიბულურ-ორალური და მედიო-დისტალური გადანაცვლება შეფასდა, როგორც I-II ხარისხი, ხოლო კბილების კბილბუდეში ზევით და კბილის სიგრძივი ღერძის ირგვლივ მოძრაობა, როგორც III-IV ხარისხი.

ედენტულიზმი შეფასდა Kayser და Witter- ის მეთოდის გამოყენებით, შემოკლებული დენტალური რკალის კონცეფციის მიხედვით. კბილების დანაკლისი შეფასდა შემდეგნაირად: 0 კბილის დანაკლისი, 1-20 კბილის დანაკლისი, 21 და მეტი კბილის დანაკლისი.

2.3. ჩატარებული კვლევის მორფოლოგიური ნაწილი.

პროცესის მიმდინარეობის პარალელურად გამოკვლეული 2487 პაციენტიდან გამოიყო 59 პაციენტი, რომლებსაც აღინიშნებოდათ პაროდონტიტის IV სტადია, შემდეგი კლინიკური მახასიათებლებით: დარღვეული თანკბილვა, მრავლობითი ედენტულიზმი, პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენა, კბილების მორყევის III-IV ხარისხი, პათოლოგიური ჯიბეები სიღრმით 5 მმ და მეტი, სისხლდენა და იშვიათ შემთხვევაში ჩირქდენა.

გამოსაკვლევი პაციენტების რაოდენობა დადგინდა შემდეგნაირად. სარწმუნოების დონე 95%, კონფიდენს ინტერვალის ზედა ზღვარი 45,6% და ქვედა ზღვარი 20,6%.

აღნიშნული პაციენტები გაიგზავნა ქირურგიულ კაბინეტში კბილების ექსტრაქციისთვის. პროცედურა მიმდინარეობდა სხვა და სხვა ხერხის საშუალებით (შეფის, იანგის, პარჩის და სხვა). ქირურგიული ჩარევის შემდეგ ექსტრაქციული კბილები მიმდებარე გრანულაციური ქსოვილით და კიურეტაჟის შედეგად

კბილბუდიდან აღებული შიგთავსით მოთავდა ფორმალინის ხსნარში.

ოპერაციული მასალის ფიქსაცია წარმოებდა ნეიტრალური ფორმალინის 10 %- ან ხსნარში 24 საათის განმავლობაში, ხოლო დეკალცინაცია აზოტმჟავას 10%-იან ხსნარში. ფიქსირებული ნაჭრები ყალიბდებოდა პარაფინში. როტაციულ მიკროტომზე მომზადებული 4-5 მკმ სისქის ანათლები, დეპარაფინიზაციის შემდეგ, იღებებოდა ჰემატოქსილინითა და ეოზინით. მიკროსკოპულ გამოკვლევა ჩატარდა მიკროსკოპით „ლეიკა DDDM-1000 LED“, ხოლო ფოტოგრაფირება ფოტოსაცმით „ლეიკა“ MC 170 HD.

თავი III

კვლევის ეთიკის საკითხები

კვლევამ მიიღო საქართველოს ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამედიცინო ეთიკის კომისიის თანხმობა. ოქმი #2020-002, 06.02.20-06.02.21.

(NCDC (IRB00002150))

თავი IV

კვლევის შედეგები და მათი ანალიზი


4.1. თანკბილვის ანომალიების გავრცელება.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგების ანალიზის მიხედვით გამოკვლეული 2487 პაციენტიდან 42%-ს აღენიშნებოდა ნეიტრალური თანკბილვა (I კლასი), 30%-ს დისტალური თანკბილვა (II კლასი), 9%-ს მედიალური თანკბილვა (III კლასი), 9%-ს პირდაპირი, ჯვარედინი 3%, ღია 1% და 6%-ს ღრმა (ცხრილი 1, დიაგრამა 1).

უნდა აღინიშნოს, რომ თანკბილვის ცალკეული სახის ანომალია იზოლირებულად იშვიათია, ძირითადად გვხვდება კომბინაციაში ორი ან მეტი. მსგავს შემთხვევებში ანკეტებში აღინიშნა წამყვანი, ანუ ძირითადი ანომალია.

თანკბილვის ტიპი	სიხშირე	%
I კლასი	1054	42
II კლასი	737	30
III კლასი	226	9
ჯვარედინი	69	3
პირდაპირი	217	9
ღია	25	1
ღრმა	159	6
ჯამი	2487	100

ცხრილი 1. თანკბილვის ანომალიების გავრცელება.



დაგრამა 1. თანკბილვის ანომალიების პროცენტული განაწილება.

4.2. გინგივიტის და პაროდონტიტის გავრცელება.

გამოკვლევულ პოპულაციაში განისაზღვრა პაროდონტიტის სტატუსი. შედეგები იხილეთ ცხრილი 2.

პაროდონტიტის სტატუსი	სიხშირე	%
ჯანმთელი	1252	50,3
პაროდონტიტი	974	39,2
გინგივიტი	261	10,5
ჯამი	2487	100

ცხრილი 2. პაროდონტიტის და გინგივიტის გავრცელება.

პაროდონტიტის სტატუსი შეფასდა სქესის მიხედვით (დაგრამა 2). კვლევის მიმდინარეობის დროს აღინიშნებოდა ქალების მეტი აქტივობა. მიღებული შედეგები აღნიშნულია ცხრილი 3, 4, 5.

პაროდონტის სტატუსი	სქესი		ჯამი
	ქალი	კაცი	
ჯანმრთელი	791	461	1252
პაროდონტიტი	493	481	974
გინგივიტი	129	132	261
ჯამი	1413	1074	2487


ცხრილი 3. გამოკვლეულ პოპულაციაში პაროდონტის სტატუსის შეფასება სქესის მიხედვით.

პაროდონტის სტატუსი	სქესი		ჯამი
	ქალი	კაცი	
ჯანმრთელი	56	43	50,3
პაროდონტიტი	35	45	39,2
გინგივიტი	9	12	10,5
ჯამი	100	100	100

ცხრილი 4. გამოკვლეულ პოპულაციაში პაროდონტის ცალკეული სტატუსის მქონე პაციენტების განაწილება სქესის მიხედვით (პროცენტი).

პაროდონტის სტატუსი	სქესი		ჯამი
	ქალი	კაცი	
ჯანმრთელი	63,2	36,8	100,0
პაროდონტიტი	50,6	49,4	100,0
გინგივიტი	49,4	50,6	100,0
ჯამი	56,8	43,2	100,0


ცხრილი 5. გამოკვლეულ პოპულაციაში პაროდონტის ცალკეული სტატუსის მქონე პაციენტების განაწილება სქესის მიხედვით (პროცენტი).



დიაგრამა 2. პაროდონტიტის და გინგივიტის გავრცელება სქესის მიხედვით.

პაროდონტის სტატუსი ასევე შეფასდა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. პირველ ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირდა ჯანმრთელი პაროდონტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, გინგივიტის საშუალო და პაროდონტიტის დაბალი მაჩვენებელი. შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში შემცირდა ჯანმრთელი პაროდონტის და გინგივიტის გავრცელება და გაიზარდა პაროდონტიტის (დიაგრამა 3).

კერძოდ, ასაკის მატებასთან ერთად გაიზარდა პაროდონტიტის და შემცირდა გინგივიტის გავრცელება (ცხრილი 6,7,8) და სხვა კვლევებთან შედარებით შეიძლება ითქვას, რომ განიცადა გაახალგაზრდავება.



